L 171
1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

5-6

მაისი—ივნისი

თბილისი—1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

5-6

მაისი—ივნისი

+ 3361

თბილისი—1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-69 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7,5.

შეკვ. 683. УФ—00870 ტირაჟი 5.000.

ბაქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 3 აპრილის ბრძანება № 213

საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად პირობების მომზადების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის პირობების მოსამზადებლად.

გაუმჯობესდა სწავლა-აღზრდის საქმე, ტარდება ქმედითი ღონისძიებანი ყოველმხრივ განათლებული, შეგნებული, შრომისმოყვარე მოქალაქეთა აღზრდისათვის.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასწავლო მატერიალური ბაზა, მარტო 1968 წელს სასკოლო შენობათა ფართობის ფონდს შეემატა 20.623 მოსწავლე ადგილი.

საქართველოს სს რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში სკოლებზე ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. 1968 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმო-დაწესებულებებმა თავიანთი ინიციატივით, სახსრებითა და მასალით 53 სასკოლო შენობას მიაშენეს 408 საკლასო ოთახი 7.912 მოსწავლე ადგილით; ააგეს 10 საბავშვო ბაღი 1.140 ბავშვ-ადგილით.

ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ქ. თბილისმა, ჭიათურამ, გორის, ქარელის, ჩოხატაურის, წყალტუბოს რაიონებმა, აგრეთვე ქ. ფოთმა, ბათუმმა, ქ. ზუგდიდმა, გალის, ზესტაფონის, ონის, თერჯოლის, ცხაკაიას, წალენჯიხის და სხვა რაიონებმა, რის შედეგადაც შეიქმნა საიმისო პირობები, რათა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი

ამთავრებდეს არა მარტო რვაწლიან სკოლას, არამედ განაგრძობ-
დეს სწავლას საშუალო ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.
რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი იზრდება საგრძნობი რაოდენობით. 1968/69 სასწავლო წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 19.244 ბავშვით, ე. ი. 2,2%-ით მეტი, ვიდრე 1967/68 სასწავლო წელს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში მთლიანად შესრულებულია I—VIII კლასებში ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის გეგმა, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს ეს გეგმა არ აქვთ შესრულებული. ქ. ფოთში 1968/1969 სასწავლო წელს გეგმით უნდა იყოს 6.601, ფაქტიურად სწავლობს 6.557 (99,3%), შესაბამისად ამბროლაურის რაიონში — 3.919 — 3.775 (96,3%), ახალქალაქის—17.632—17.378 (98,6%), ახალციხის — 10.901—7.458—7.239 10.826 (99,3%), ბოგდანოვკის —9.332—9 212 (98,7), გეგეჭკორის—9.046—8.915 (98,5%), გურჯაანის—12.453 — 12.361 (99,2%), დმანისის—10.532— 10.423 (98,9%), დუშეთის — 6.892 — 6.830 (99.1%), ყაზბეგის—1.197—1.058 (88,3%), ყვარლის— 7,528— 7.385 (98,1%), ლენტეხის—2.715 2.668 (98,2%), მაიაკოვსკის— 5.331—5.184 (97,1%), მესტიის—3.422—3.350 (97,8%), ონის— 3.323—3.276 (98,5%), ორჯონიკიძის—6.516 - 6.432 (98,7%), ხობის—6.897—6.801 (98,6%), წალენჯიხის 7.062—6 862(97,2%), წალკის—12.038— 11.959 (99,3%), წულუკიძის—5.251 — 5.021 (95,6%), ჩოხატაურის რაიონში—5.238—5035 (96,1%);

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა, რაც ნათლად დასტურდება 1-ლ კლასში მიღებულ მოსწავლეთა კონტინგენტის რვაწლიანი სკოლის ფარგლებში შენარჩუნების შესახებ არსებული ციფრობრივი მონაცემების მიხედვით. მაგ. 1960/61 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩაბმული ბავშვებიდან 1967/68 სასწავლო წელს რვა კლასი დაამთავრა 79%-მა. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ-ში, სადაც 1960 წელს 1-ლ კლასში ჩარიცხული 10.158 ბავშვიდან 1968 წელს რვა კლასი დაამთავრა მხოლოდ 6.929 (68,2%), აჭარის ასსრ-ში—6.124 ბავშვიდან — 4.548 (74,2%), სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში 2.581 ბავშვიდან 1.854 (71,8%), ქ. თბილისში —12.708 ბავშვიდან—9.911 (77,9%), ქ. ფოთში—850 ბავშვიდან— 574—67,5%), ადიგენის რაიონში 471 ბავშვიდან 362 (74,7%), ამბროლაურის — 495 ბავშვიდან —380 (76,7%), ასპინძის—273

ბავშვიდან 215—78,7%), ახალქალაქის—1.826 ბავშვიდან 1.417 (77,6%), ახალციხის—1.334 ბავშვიდან 1.044 (78,2%), ახმეტის—941 ბავშვიდან—636 (77,5%), ბოგდანოვკის—953 ბავშვიდან—726 (76,1%), ბოლნისის—1.461 ბავშვიდან—951 (67,8%), გარდაბნის—2.236 ბავშვიდან—1.514 (67,7%), გეგეჭკორის—1.343 ბავშვიდან—1.000 (74,4%), დმანისის—1.032 ბავშვიდან 684 (66,2%), დუშეთის—888 ბავშვიდან—637 (71,7%), ყაზბეგის—191 ბავშვიდან—101 (52,8%), ყვარლის—904 ბავშვიდან—674 (74,5%), ლაგოდეხის—1.298 ბავშვიდან—894 (68,8%), ლენტეხის—420 ბავშვიდან—279 (66,4%), მარნეულის—2.337 ბავშვიდან—1.371 (58,6%), მასარაძის—1297 ბავშვიდან—1.142 (71,5%), მესტიის—478 ბავშვიდან—311 (65,0%), ონის—497 ბავშვიდან—380 (76,4%), საგარეჯოს—1.160 ბავშვიდან—672 (57,9%), თეთრიწყაროს—975 ბავშვიდან—609 (62,5%), თიანეთის—391 ბავშვიდან—274 (70,0%), წალენჯიხის—829 ბავშვიდან—584 (70,4%), წალკის—1.429 ბავშვიდან—971 (67,9%), წითელწყაროს—718 ბავშვიდან—492 (68,5%), ჩოხატაურის—744 ბავშვიდან—573 (77,0%).

განათლების განყოფილებები და სკოლები ჯეროვან ზომებს არ ღებულობენ, რომ რვა კლასდამთავრებული მოსწავლეები უკლებლივ განაგრძობდნენ სწავლას საშუალო სკოლის მე-9 კლასებში ან სპეციალურ საშუალო განათლების სასწავლებლებში.

1967/68 სასწავლო წელს რესპუბლიკაში რვა კლასდაამთავრებულ მოსწავლეთაგან სწავლა განაგრძო საშუალო სკოლის მე-9 კლასში 81%-მა. ამ მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ-ში, სადაც რვაკლასდამთავრებული 6.929 ბავშვიდან მე-9 კლასში სწავლას აგრძელებს 5.601 (79,4%), შესაბამისად აჭარის ასსრ-ში—4.548 ბავშვიდან 3.356 (73,8%), ქ. ჭიათურაში—1.237 ბავშვიდან—880 (70,3), ქ. რუსთავში—1.331 ბავვიდან—1.171 (79,1%), აბაშის რაიონში—583 ბავშვიდან—435 (74,6%), ადიგენის—352 ბავშვიდან—273 (77,5%), ამბროლაურის 380 ბავშვიდან—275 (72,3%), ვანის—864 ბავშვიდან—666 (77,0), ბორჯომის—563 ბავშვიდან—448 (79,5%), გარდაბნის—1.514 ბავშვიდან—1.129 (74,5%), გეგეჭკორის—1.000 ბავშვიდან—781 (78,1%), გურჯაანის—1.085 ბავშიდან—814 (75,0%), დმანისის—684 ბავშვიდან—444 (64,9%), დუშეთის—637 ბავშვიდან—396 (62,0%), ყაზბეგის—101 ბავშვიდან—53 (52,1%), კასპის—923 ბავშვიდან—612 (66,3%), ლაგოდეხის—894 ბავშვიდან—667

(74,6%), ლანჩხუთის—737 ბავშვიდან—531 (72,0%), მახარაძის—
1.142 ბავშვიდან 906 (79,3%), მაიაკოვსკის—559 ბავშვიდან—438
(78.3%), მცხეთის—565 ბავშვიდან—369 (64,2%), ონის—
—380 ბავშვიდან—291 (76,5%), ორჯონიკიძის—684 ბავშვიდან—
—477 (69,7), სიღნაღის—358 ბავშვიდან—545 (71,8%, თელავის—
—1018 ბავშვიდან—785 (77,1%), თერჯოლის—879 ბავშვიდან—
—633 (72,0%), თიანეთის—274 ბავშვიდან—2.041 (74,4%), ხა-
შურის—880 ბავშვიდან—634 (72,0%), ხობის—707 ბავშვიდან—
—510 (72,1%), ცაგერის—431 ბავშვიდან—291 (67,5%), წითელ-
წყაროს—492 ბავშვიდან—375 (76,2%), წყალტუბოს რაიონში—
—1.166 ბავშვიდან—866 (74,2%), ჩოხატაურის—573 ბავშვიდან—
—409 (71,3%), ჩხოროწყუს—622 ბავშვიდან—494 (79,4%).

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1968—69 სასწავლო წელს არ არის შესრულებული IX—X კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა, გეგმით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აღნიშნულ კლასებში უნდა ესწავლა 118.674 მოსწავლეს, ფაქტიურად სწავლობს 110.990 (93,5%), არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 11.212-დან—10.726 (95,7%), აჭარის ასს რესპუბლიკაში—6.948-დან 6.568 (94,5%), სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში—3.283-დან—3.181 (96,9%), ქ. თბილისში —18.737-დან—16.835 (98,8%), ქ. ქუთაისში —3.950-დან —3 688 (93,3%), ქ. ფოთში—1.138-დან—945 (89,0%), ქ. ჭიათურაში—1.812 დან—1.622(89,5%),ქ. რუსთავში—2.495-დან—2.118(84,9%), ქ. გორში—1.055-დან—1.010 (95,8%), ქ. ტყიბულში—1.471-დან 1.389 (94,4%), ქ. ზუგდიდში—1.227-დან—1.682 (96 3%), აბაშის —858-დან—827 (96,3%), ადიგენის—611-დან—569 (93,1%), ამბროლაურის—613-დან—581 (94,7%), ასპინძის—456-დან — 401 (87,9%), ახალციხის—1.738-დან—1.608 (92,5%), ახმეტის—1.119-დან—1.087 (97,1%), ბოგდანოვკის—1.173-დან — 1.149 (97,9%), გეგეჭკორის—1.551-დან—1.516 (97,7%), გორის—2.551 დან—2 222 (87.1%), გურჯაანის—1.672-დან—1.683 (95,8%), დმანისის—902-დან—856 (94,9%), დუშეთის—981-დან—788 (80,3%), ზესტაფონის—1.796-დან 1.720 (95,7%), ზუგდიდის—2.368-დან 2.299 (97,0%), ყაზბეგის—120-დან—100 (83,3%), ყვარლის—1.132-დან 1.016 (89,7%), ლაგოდეხის—1.568-დან—1.365 (87,0%), ლანჩხუთის—1.127-დან—1.019 (90,6%), ლენტეხის — 512-დან —490 (95,7%), მარნეულის—2.366-დან —2 233 (94,4%), მახარაძის—

2.038-დან—1.838 (87,6%), მაიაკოვსკის — 982-დან—901 (91,7%), მესტიის—595-დან—575 (96,6%), მცხეთის—943-დან—784 (83,1%), ონის— 632-დან — 582 (92,9%), ორჯონიკიძის—1.100-დან— 964 (87,6%), საგარეჯოს—1.009-დან—917 (90,8%), საჰტრედიის— 1.407-დან 1.280 (90,9%), საჩხერის—1.454-დან—1.316 (90,5%), სიღნაღის—1.147-დან—1.095 (95,7%), თელავის—1.724-დან—1.706 (98,9%), თერჯოლის—1.275-დან—1.213 (95,1%), თეთრიწყაროს— 880-დან—851 (96,7%), თიანეთის—438-დან—423 (96,5%), ხაშურის—1.316-დან—1.217 (92,5%), ხობის—1 098-დან—984 (89,6%), ცაგერის—674-დან—635 (94,2%), წალენჯიხის—1.043-დან—951 (91,1%), წალკის—1.876-დან—1.830 (97,5%), წითელწყაროს— 821-დან—699 (85,1%), წულუკიძის —984-დან —914 (92,2%), ცხაკაიას—1.504-დან—1.474 (98,0%), წყალტუბოს—1.903-დან— 1.767 (92,2), ჩოხატაურის—876-დან—831 (94,3%), ჩხოროწყუს— 1.113-დან—995 (89,4%).

სათანადოდ არ სწარმოებს ბრძოლა მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. 1966/67 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლების პირველი მერვე კლასებიდან გავიდა 15.319 ბავშვი, ან მოსწავლეთა შესაბამისი კონტინგენტის 2,08%. 1967/68 სასწავლო წელს კი გავიდა 17.946 ბავშვი (2,3%). აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 8.374 მოსწავლიდან გავიდა 2.556 (3,0%). აჭარის ასს რესპუბლიკაში 52.772-დან 1567 (2,0%), სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში 1975-დან 508 (2,5%), ქ. ფოთში—6.570-დან 233 (3,5%), ქ. ჭიათურაში—13.639-დან—347 (2,5%), აბაშის რაიონში—4616-დან—128 (2,7%), ამბროლაურის—3.787-დან—97 (2,5%), ახალქალაქის—16.988—453 (2,6%), ახმეტის—7.448-დან 183 (2.4%), ბოგდანოვკის—8.900-დან—216 (2,4%), ბოლნისის—13.154-დან— 475 (3,6%), ბორჯომის—5.571-დან—224 (4,0%), ვანის—7.400-დან—252 (3,4%), გარდაბნის—19.115-დან—526 (2,7%), გეგეჭკორის—9.100-დან—302 (3.3%), დუშეთის—6.781-დან—206 (3,0%), ყაზბეგის —1.060-დან— 54 (5%), ყვარლის —7.355-დან — 230 (3,1%), ლაგოდეხის—10.296-დან—304 (2,9%), ლენტეხის—2.722-დან—106 (3,8%), მარნეულის — 19.804-დან—620 (3,1%), მახარაძის—12,629-დან—369 (2,9%), მაიაკოვსკის—5.284-დან— 126 (2,4%). მესტიის—3 363-დან—207 (6.1%), ონის—3.348-დან 88 (2,6%), თეთრიწყაროს—7.319-დან—270 (3,6%), თიანეთის რაიონში—3-160-დან—96 (3.0%), ხობის—6.957-დან—206 (2,9%),

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხის—6.783-დან—316 (4,6%), წალკის—11.585 დან—298 (2,5%), წითელწყაროს 6.085-დან—183 (3,0%), ჩოხატაურის—5.236-დან—194 (3.7%).

საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები გამოწვეულია მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობითა და მეორეწლიანობით, რაც ძირითადად განათლების ორგანოების, სკოლების ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების სუსტი მუშაობითაა გამოწვეული.

1968/69 სასწავლო წელს I—X კლასების 904.337 მოსწავლიდან მეორეწლიანია 39.931 (4,4%); დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—95,960-დან—6.678 (6,9%), აჭარის ასს რესპუბლიკაში 60.971-დან—3.596 (5,8%) სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში—23.175-დან—1.201 (5.0%), ქ. ფოთში—7.502-დან—475(6,3%), ქ. ჭიათურაში—15.533-დან—1.061 (6,8%), ქ. გორში—88.256-დან—442 (5,3%), ადიგენის—4.617 დან—219 (4,7%), ახალციხის რაიონში—3.053-დან—189 (6,0%), ახმეტის 8 782 დან—574 (6,5%), დუშეთის—7 618 დან—475 (6,2%), ყაზბეგის—1.158-დან—70 (6,0%), ლენტეხის—3.158-დან—214 (6,7%), მარნეულის—23.091-დან—1.174 (5,0%), მახარაძის 14.684-დან—1.1 4 (7,5%), მცხეთის—7.838-დან—412 (5,2%), ონის—3.858-დან—260 (6,7%), ორჯონიკიძის—7,396-დან—461 (6,2%), საგარეჯოს — 9.265-დან—483 5,2%), საჩხერის—10.641-დან—537 (5,0%), თეთრიწყაროს—8.232-დან—549 (6,6%), თიანეთის—3.638-დან—267 (7,3%), წალენჯიხის—8,048-დან—438 (5,4%), წალკის—13.789-დან—758 (5,4%), წითელწყაროს—6.962-დან—488 (7,0%), ჩოხატაურის—5.866-დან—335 (5,7%).

სტატისტიკური მონაცემებით 1967/68 სასწავლო წლის ბოლოს საგაზაფხულო გამოცდების შედეგად იგივე კლასში დატოვებული იქნა 34.307 მოსწავლე. საშემოდგომო გამოცდა მიეცა 70.207 მოსწავლეს. შემოდგომაზე ჩააბარა გამოცდები 58.457 მოსწავლემ ე. ი. ვერ ჩააბარა გამოცდა და დატოვებული იქნა იმავე კლასში 11.750 მოსწავლე. ამგვარად სულ მეორეწლიანია 34.307+11.750, რაც შეადგენს 46.057, ხოლო სასწავლო წლის დასაწყისში სკოლებში გამოცხადდა 39.931 მეორეწლიანი მოსწავლე, არ გამოცხადდა 6.126 მოსწავლე. მათ შორის არ გამოცხადდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 1.030 მეორეწლიანი მოსწავლე,

აჭარის ასს რესპუბლიკაში 576, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში 3[illegible]
ქ. თბილისში—593, ქ. ქუთაისში—79, ქ. ფოთში—47, ქ. ჭიათურაში —162, ქ. რუსთავში—17, ქ. გორში —22, ქ. ტყიბულში—45, ახალქალაქის რაიონში—143, ახალციხის—64, ახმეტის—52, ბოლნისის —115, ბორჯომის—103, გარდაბნის—313, გეგეჭკორის—92, გორის—64, გურჯაანის—163, დმანისის—51, დუშეთის—91, ზუგდიდის—52, მარნეულის—230, მესტიის—60, საგარეჯოს—106, სიღნაღის—60, თელავის—53, თერჯოლის—122, თეთრიწყაროს—60, წალენჯიხის—94, წალკის—122, წითელწყაროს—72, ცხაკაიას 71, წყალტუბოს რაიონში—76 და ა. შ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა. სასწავლო წლის პირველი ნახევრის ბოლოს ვერ ასწრებს 12.892 მეორეწლიანი მოსწავლე. მათ შორის აფხაზეთის, ასს რესპუბლიკაში—20.60, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში—269 ქ. ფოთში 126, ქ. ჭიათურაში—298, ქ. გორში—94, ახალქალაქის—179, გორის—54, ზესტაფონის—67, გეგეჭკორის—167, გორის—54, ზესტაფონის—56, ლანჩხუთის—73, ლენტეხის—54, საჩხერის—85, თელავის—88, ხაშურის—69, წულუკიძის—75, წყალტუბოს—57.

საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებას შნიშვნელოვნად აბრკოლებს ის გარემოება, რომ დღემდე არასაკმარისადაა გაშლილი სპეციალური სკოლების ქსელი—ყრუმუნჯ, უსინათლო, გონებრივი და სხვა დეფექტის მქონე ბავშვთათვის.

1968 წლისათვის გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში გათვალისწინებული იყო 33.000 მოსწავლე, წინააღმდეგ 1967 წლის 28.000-სა. ფაქტიურად 1968/69 სასწავლო წლის დასაწყისში ამ სკოლებსა და ჯგუფებში იყო 32.518 ბავშვი (98,5%), გეგმა წარმატებით აქვს შესრულებული დმანისის რაიონს, გეგმით გათვალისწინებული 245 ბავშვის ნაცვლად არის 280 (114,2%), მაიაკოვსკის რაიონს შესაბამისად 200 და 220 (110,0%), მარნეულის—970 და 1.467 (151, 2%). მახარაძის—682 და 642 (110,3%), ასპინძის რაიონს—100-ის ნაცვლად 120 (120%). გეგმის შესრულებას დიდად დააკლეს ცაგერის რაიონმა—293-დან 190 (64,8%), სიღნაღის —438-დან 260 (59,3), ზუგდიდის—405-დან 219 (54,0%), ლაგოდეხის—1.520-დან 1.171 (77,0%), ბორჯომის—100-დან 60 (60%), წალენჯიხის—745-დან—630 (84,5%), წალკის—1.320-დან 1.200

(90,9%), წითელწყაროს—805-დან 695 (86,3%), აჭარის ასსრ-ში—ბ-ბ-ბ-

ლონ კონკრეტული ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის და მათ მიერ გატარებული ღონისძიების შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ა/წლის 20 ივნისამდე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნას აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის განათლების მინისტრის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ონის და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ანგარიში საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 7 აპრილის ბრძანება № 220

ხაშურის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ხაშურის რაიონის სკოლებში გარკვეული ღონისძიებები ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება აიღეს 1970 წლისათვის სკოლებს მიუშენონ 44 საკლასო ოთახი. ამჟამად მიმდინარეობს ხაშურის II საშუალო სკოლაზე 6 საკლასო ოთახის მიშენება, დამთავრების პროცესშია წაღვლის საშუალო სკოლის სასწავლო კორპუსი. ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა საკუთარი სახსრებით აშენებს 8-წლიანი სკოლის შენობას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სკოლა ჯერ კიდევ ავარიულ შენობაშია მოთავსებული. მეორე ცვლაში მეცადინეობს 2.530 მოსწავლე.

რაიონის განათლების განყოფილება სისტემატურად ამოწმებს სკოლების მუშაობას. მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი ნახევრის განმავლობაში განყოფილებას შეუმოწმებია 8 საშუალო, 12 რვაწლიანი და ამდენივე დაწყებითი სკოლა. შემოწმების შედეგები დაყვანილია სკოლებამდე. აღმასკომებისა და განათლების საბჭოს სხდომებზე განხილულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლებისა და 10 წლიან სწავლებაზე გადასვლის, რაიონის სკოლებში მათემატიკის სწავლების, სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის, ესთეტიკური აღზრდის, მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის საკითხები.

განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი სწორადაა დაკომპლექტებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპე-

ციალისტებით. რაიონის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. ემზადება გაკვეთილებისათვის და გარკვეულ წარმატებებს აღწევს საგნის სწავლებასა და აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეში.

კარგად ასწავლიან: ქართულ ენასა და ლიტერატურას— მ. ნადირაძე, თ. ლომიძე (სურამის II საშუალო სკოლა), მ. ხარებაშვილი, თ. ჩადუნელი, ქ. სილაძე (ქვიშხეთის საშუალო სკოლა), პ. კულუმბეგაშვილი (გომის საშუალო სკოლა), ტ. შარიქაძე (ხაშურის 1-ლი რვაწლიანი სკოლა); ისტორიას—გ. მანჩხაშვილი (ქვიშხეთის საშუალო სკოლა), თ. ჯავარაშვილი, მ. კოშკაძე (ხაშურის მე-3 საშ. სკოლა); მათემატიკას—მ. გელაშვილი (ხაშურის მე-3 საშ. სკოლა); უ. ლომიძე (სურამის მე-2 საშ. სკოლა), გ. შუბითიძე, ა. ტაბატაძე, ი. ხარაიშვილი (ხაშურის 1-ლი რვაწლიანი სკოლა); ბიოლოგიას—ლ. სურმავა (სურამის მე-2 საშუალო სკოლა), რ. ლომსაძე, ლ. ლოპიძე (ქვიშხეთის საშ. სკოლა); ქიმიას— თ. სირბილაძე, ნ. კიკვაძე (სურამის მე-2 საშ. სკოლა) და სხვ.

ხაშურის რაიონის სკოლებში სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასკოლო ბაზების ქსელი. რაიონის სკოლები ძირითადად კვალიფიციური, უმაღესი ფიზკულტურული განათლების მქონე კადრებითაა დაკომპლექტებული.

ფიზკულტურის გაკვეთილებს კარგად ატარებენ მასწავლებლები: ვ. ზანიერი, გ. ლონდაძე (ხაშურის მე-3 სკოლა), ჭ. ხანიაშვილი (სურამის მე-2 საშ. სკოლა), ლ. ჯოხაძე (ხაშურის 1-ლი რვაწლიანი სკოლა).

აღნიშნულის მიუხედავად, ხაშურის რაიონის შემოწმებული სკოლების მუშაობაში სერიოზული ხარვეზები შეინიშნება.

ნაკლოვანებებია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ხაშურის მე-3 და გომის საშუალო სკოლებში. მასწავლებლები არ ატარებენ სათანადო მუშაობას მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად. ქართული ენის გაკვეთილებზე მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება არ ხდება ლიტერატურის გაკვეთილებზე.

გაკვეთილებს ატარებენ ყოველგვარი დიდაქტიკური მასალის, ცხრილების და ტაბულების გარეშე. ხაშურის მე-2 საშ. სკოლის

IX კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ა. ტაბუცაძე) ვერ ამოიღეს სძლეს „მერანის“ იდეურ-მხატვრული გაანალიზება. ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელს არ ჩაუტარებია კომენტირებული კითხვა, ლექსიკური მუშაობა. განსაკუთრებით დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. მასწავლებლები არ იცავენ წერითი მუშაობის სახეთა მრავალფეროვნებას და გულდასმით არ ამოწმებენ წერით ნამუშევრებს, გაუსწორებელს ტოვებენ მრავალ ენობრივ და ფაქტობრივ შეცდომას და ხშირად ძალზე ლიბერალურად აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მაგალითად, ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის VIII[1] კლასის მოსწავლის ვ. ქ-მის მიმდინარე სასწავლო წლის 29 ნოემბრის წერითი ნამუშევარი—„უცხო მოყმის ნახვა შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ მასწავლებელ მ. გოგოგოლაძეს შეუფასებია „3“-ზე, 15 შენიშნული და ამდენივე შეუნიშნავი შეცდომის მიუხედავად. გომის საშუალო სკოლის VIII[1] კლასში (მასწავლებელი დ. ნახუცრიშვილი) ჩატარებულა წერა სახელწოდებით „უცხო ტექსტის წერა“ (?!) მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში გაუსწორებელია უხეში შეცდომები. წინადადება—„ამ სიტყვებმა თმა ამიშალეს და სისხლი მომიყვანეს ყელში“ მოსწავლეებს შედგენილობის მიხედვით რთულად მიუჩნევიათ, მასწავლებელი არ ასწორებს შეცდომას. X კლასის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებშიც (30/X) გაუსწორებელია შეცდომები. ამავე კლასში განვლილი მასალიდან ჩატარებულმა საკონტროლო წერამ მოსწავლეთა ცოდნის მეტად დაბალი დონე გამოავლინა, 14 მოსწავლიდან 11-მა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო.

თეორიულ და პედაგოგიურ დახელოვნებას საჭიროებენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: გ. ნადირაშვილი (ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა), ც. ჟვირბლისი (გომის საშ. სკოლა), ა. კუდინოვა (ქვიშხეთის საშ. სკოლა). ისინი საფუძვლიანად არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სუსტად ატარებენ სალექსიკონო მუშაობას, გამოკითხვის დროს კმაყოფილდებიან მექანიკურად დაზეპირებული პასუხებით, ნაჩქარევად ასწორებენ მოსწავლეთა საკონტროლო და საშინაო წერით ნამუშევრებს, ხოლო ქვიშხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. მარგველაშვილი სრულიად უგულებელყოფს ამ საქმეს.

შესწავლილ სკოლებში მოსწავლეები ცუდად მეტყველებენ რუსულ ენაზე, ძალზე დაბალია წერის კულტურაც. მაგალითად, ქვიშხეთის საშუალო სკოლის მეათეკლასელებმა (მასწავლებელი

ი. ბელოუსოვა) ვერ მოახერხეს 3—4 სიტყვისაგან მარტივი წინადადების სწორად შედგენა, ქვიშხეთის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა წინადადების „Дождь оросил поля, огороды"-ს სინტაქსური გარჩევა. საკონტროლო წერების შეფასებისას დაშვებულია ლიბერალიზმი. მაგალითად, გომის საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე გ. ჩ-ლს ც. ჟვირბლისმა 9 შეცდომაში „4" დაუწერა, ხოლო ნ. კაპანაძემ ხაშურის რვაწლიანი სკოლის მოსწავლე დ. შ-ვს 16 შეცდომაში—„3".

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა გომის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში, სადაც ამ საგანს ასწავლის არასპეციალისტი მ. ლოლუაშვილი, რომელიც ვერ ფლობს ენას.

სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის გომის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი გ. ნოზაძე. ის იფარგლება სასკოლო სახელმძღვანელოებით, არ იყენებს მხატვრულ, მეთოდურ და სხვა სახის დამხმარე ლიტერატურას. გაკვეთილებს ატარებს ერთფეროვნად, უინტერესოდ, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე. გ. ნოზაძემ მე-8 კლასში ახალი გაკვეთილი—„თვითმპყრობელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა" ქაოტურად, მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გარეშე ათ წუთში ახსნა. მე-8 კლასები ვერ ერკვევიან რუსეთის ეკონომიური განვითარების თავისებურებებსა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მნიშვნელობაში. დაბალი ცოდნა გამოავლინეს მოსწავლეებმა უახლეს ისტორიაშიც, რომელშიაც ჩამორჩენა საპროგრამო მასალის გავლაში შემოწმების პერიოდისათვის 20 საათს აღემატებოდა. ხაშურის 1-ლი რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა ლ. შათირიშვილმა V კლასში ძველი მსოფლიოს ისტორიაში გაკვეთილი თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რუკით ჩაატარა.

შემოწმებულ სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებანია მათემატიკის სწავლებაში. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ზერელედ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, სათანადოდ არ ემზადება და გაკვეთილებს დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ატარებს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: შ. წურიაშვილი, ს. ღონღაძე, ბ. ლალუაშვილი (ქვიშხეთის საშუალო სკოლა), ც. ბარბაქაძე (ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა), ნ. სმირნიცკი (გომის საშუალო სკოლა).

ქვიშხეთის საშუალო სკოლის მე-8 კლასში მოსწავლეებმა (მასწავლებელი წურიაშვილი) არ იცოდნენ გეომეტრიაში თეორემა —„წრის გარეშე წერტილიდან წრისადმი გავლებული მხებისა და მკვეთის შესახებ“. მათ არც საშუალო პროპორციული მონაკვეთებისა და სამკუთხედების მსგავსებაზე ჰქონდათ წარმოდგენა. ამავე სკოლის მე-5 კლასის (მასწავლებელი მ. ღონღაძე) მოსწავლეებმა არ იციან წილადებზე მოქმედება. უდიდეს ნატურალურ რიცხვებად ასახელებენ 2.400,000-ს, 9-ს და ა. შ. გომის საშუალო სკოლის მე-9 კლასელებმა (მასწავლებელი ნ. სმირნეცკი) სრული უცოდინარობა გამოავლინეს განვლილი მასალის ირგვლივ.

სუსტად იციან განვლილი მასალა ალგებრაში გომის საშუალო სკოლის VIII, IX, ქვიშხეთის VII[1], VII[2] და სურამის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებლები მ. მესხი, ე. ბითაძე, მ. ლომიძე).

ქვიშხეთის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ბ. ლალუაშვილი) არ იციან განტოლების განსაზღვრა, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ სხვაობის კვადრატს და კვადრატების სხვაობას. ცუდად აქვთ ნაწარმოები საშინაო და საკლასო დავალებათა რვეულები. გაუსწორებელია შეცდომები. შემოწმებულ სკოლებში დარღვეულია წერის ნორმები და სახეები, საკონტროლო რვეულები უყურადღებოდ არის გასწორებული და არაობიექტურად შეფასებული. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ხაშურის მე-3 საშ. სკოლის V, VII (მასწავლებელი ც. ბარბაქაძე, ე. ბითაძე), გომის საშუალო სკოლის VII—X კლასებში (მასწ. ა. გოგიტაშვილი, ც. ჯაფარაშვილი). ბრიგადის მიერ ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად ცუდი სურათი გამოვლინდა გომის საშუალო სკოლის V კლასში (მასწ. ნ. სმირნიცკი), სადაც 19 მოსწავლიდან ცხრამეტივემ „2“ დაიმსახურა, ხოლო ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის V[1] და V[2] კლასების (მასწ. ც. ბარბაქაძე) 42 მოსწავლიდან 23-მა; მათემატიკის სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ დირექციის წარმომადგენლები არ ახორციელებენ სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს მათემატიკის მასწავლებლებისადმი. არ ზრუნავენ მათი პროფესიული ოსტატობის სრულყოფისათვის.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა ხაშურის მე-3, გომის, ქვიშხეთისა და სურამის მე-2 საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

R 3361

დაბალ დონეზე, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ჩატარეს IX კლასებში გაკვეთილები ნ. მესხმა, მ. კურტანიძემ (ხაშურის მე-3 საშ. სკოლა), გ. ტაბატაძემ (სურამის მე-2 საშ. სკოლა). მასწავლებლები ყურადღებას არ ამახვილებენ ისეთი საკითხების საფუძვლიან შესწავლაზე, როგორიცაა ნივთიერების მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის საფუძვლები, შინაგანი ენერგია, სითბო და მუშაობა. როგორც ჩანს, თვით მასწავლებლებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ამ საკითხებზე. ფიზიკის გაკვეთილებზე თეორიული საკითხების შესწავლის პარალელურად არ მუშაობენ შესაბამისი პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე და თეორიულ ცოდნას ვერ უკავშირებენ პრაქტიკულ საქმიანობას. მაგალითად, სურამის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი მ. ტაბატაძე) საშინაო დავალებად მიცემულ თეორიულ მასალასთან—„სითბოს რაოდენობა, როგორც ზომა შინაგანი ენერგიის ცვლილებისა სითბოს გაცვლის დროს“ ერთად მოსწავლეებს უნდა ამოეხსნათ სულ სხვა თემასთან დაკავშირებული ამოცანა—თვითმფრინავის ფრთაზე მოქმედი ამწევი ძალის შესახებ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

როგორც შემოწმებით ირკვევა, რაიონის სკოლებში ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ ამოცანებზე ვარჯიშს, რის გამოც მოსწავლეებს უჭირთ მარტივი ტიპის ამოცანების ამოხსნაც კი. მაგალითად, ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ნ. მესხი) 35 მოსწავლიდან საშუალო სიძნელის ამოცანა მხოლოდ ერთმა ამოხსნა.

დაბალია მოსწავლეთა მომზადება ფიზიკაში სოფ. გომის (მასწავლებელი მ. სეფიაშვილი), სურამის მე-2 (მასწავლებელი გ. ნოზაძე), ხაშურის მე-3 (მასწავლებელი მ. კურტანიძე) და ქვიშხეთის (მასწავლებელი კ. რევაზიშვილი) საშულო სკოლების VIII და IX კლასებში. ხაშურის მე-3, ქვიშხეთისა და სურამის II საშუალო სკოლების მეათეკლასელებს წარმოდგენა არ აქვთ რხევით კონტურში ენერგიის გარდაქმნის, ელექტრული და მაგნიტური ველის, ელექტრომაგნიტური ტალღების და მათი თვისებების (სიჩქარე, არეკვლა, გარდატეხა და ინტერფერენცია) შესახებ. გომის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან მექანიკური მუშაობისა და სიმძლავრის ერთეულები. მათ ვერ გამოიანგარიშეს მაგიდის ზედაპირზე სხეულის უთანაბრო გადაადგილებისას ხახუნის ძალა და სხვ.

სოფელ გომის და ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის ფიზიკის კლასკაბინეტები ვერ პასუხობენ სადღეისო მოთხოვნებს. კლასკაბინეტებში მოუგვარებელია ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების შენახვის, აღრიცხვისა და თემების მიხედვით განაწილების საქმე, ძალზე მოუვლელია ლაბორატორიული მაგიდები, სკამები და კარადები. სურამის, ხაშურისა და გომის სკოლებში მოუწესრიგებელია დაბნელება. სწავლებაში არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, VIII, IX, X კლასებში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები, რადგან თავის დროზე არ უზრუნიათ ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო კომპლექტების შესაძენად.

რაიონის სკოლებში ფიზიკის სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ფიზიკის გაკვეთილები დაქუცმაცებულია, მაგალითად, ხაშურის მე-3 საშუალო სკოლაში ფიზიკის 39 გაკვეთილი მათემატიკის მასწავლებელთა დატვირთვის მიზნით განაწილებულია 5 პედაგოგზე

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება გომისა და ქვიშხეთის სკოლებში. გომის საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლეები (მასწ. ნ. შიუკაშვილი) ვერ ერკვევიან ელემენტთა ვალენტოვნებაში (ელექტრული თეორიის მიხედვით), არ იციან მეტალთა ადგილი პერიოდულ სისტემაში, ვერ ადგენენ ქიმიურ ტოლობებს. მასწავლებელს არც ერთხელ არ ჩაუტარებია საკონტროლო წერა და პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები. ქვიშხეთის საშუალო სკოლის VII კლასში მ. ცუცქირიძემ მეტად არადამაჯერებლად ახსნა მასალა—„ნახშირბადის ქიმიური თვისებები". მან ვერც ნახშირით სპილენძის ჟანგის აღდგენაზე შესძლო ცდის ჩატარება. ამ კლასის მოსწავლეები ვერ ადგენენ მარტივი სახის ქიმიურ ტოლობებს, წარმოდგენა არა აქვთ კოეფიციენტსა და ინდექსებზე. ასევე დაბალია ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა ცოდნა. მათ არ იციან ნაერთთა სტრუქტურულად გამოსახვა, ვერ არკვევენ ნაერთში ცალკეულ ელემენტთა ვალენტობას. აღნიშნულ სკოლებში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები, ნაკლები ყურადღება ექცევა საკონტროლო წერების ჩატარებას და თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას. ყურადღება არ ექცევა სასწავლო ხასიათის ექსკურსიების მოწყობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლილ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი პირობები ქიმიის დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე სწავლებისათვის. ქიმიის კაბინეტებში თითქმის არსად არ დგას ამწოვი კარადები, სათანადო ყურადღება არ ექცევა კაბინეტების უზრუნველყოფას ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით. მოუგვარებელია ხელსაწყოიარაღების აღრიცხვისა და მოვლის საქმე.

ლაბორანტები დაბალი კვალიფიკაციის გამო ვერ უწევენ სათანადო დახმარებას მასწავლებლებს. მაგალითად, ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის ქიმიის ლაბორანტი თ. ნოზაძე ვერ ერკვევა ქიმიის ელემენტარულ საკითხებში, არ იცის გაზომეტრისა და კიპის აპარატის დანიშნულება და ა. შ.

მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნიათ მუშაობაში ბიოლოგიის მასწავლებლებს ს. ჩოჩიშვილს, ნ. შიუკაშვილს (გომის საშუალო სკოლა) და ზ. ნამგალაძეს (ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა). ს. ჩოჩიშვილი ახალი გაკვეთილის ახსნისას უშვებს თეორიული და ენობრივი ხასიათის შეცდომებს. არადამაკმაყოფილებელია ანატომია-ფიზიოლოგიაში ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის VIII კლასელთა ცოდნა. არც ერთ სკოლაში არ არის ბიოლოგიის კაბინეტი. არსებული კლასკაბინეტები (გარდა სურამის მე-2 საშუალო სკოლისა) სათანადოდ არ არის გამოყენებული კლასების მოძრაობის მოუგვარებლობის გამო, რის შედეგადაც ბიოლოგიის მასწავლებლები გაკვეთილებს უმეტესად ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე, საკლასო ოთახებში ატარებენ. თვალსაჩინო მასალების ნაკლებობის გამო, ხშირად, შეუძლებელი ხდება მთელი რიგი ცდებისა და დაკვირვებების ჩატარება. ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ძალებით სხვადასხვა სახის პრეპარატების, ჰერბარიუმების, ფიტულების, სქემების, ტაბულების დამზადებას, არ ეწყობა ექსკურსიები ბუნებაში, მცენარეთა საცდელ სადგურებში, სწავლების პროცესში არ იყენებენ კინოსა და დიაფილმებს.

ქვიშხეთის საშუალო სკოლაში, მიუხედავად კარგი სპორტული ბაზისა, არადამაკმაყოფილებლად ატარებენ ფიზკულტურის გაკვეთილებს მასწავლებლები: ა. რობაქიძე, ვ. ენჯიბაძე. ისინი თვითონ არ არიან სათანადოდ დაუფლებულნი ფიზიკური ვარჯიშის სხვადასხვა ელემენტებს და მოსწავლეებს ვერ უსწორებენ იარაღებზე ვარჯიშის დროს დაშვებულ შეცდომებს. გომის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები ს. კაპანაძე, რ. გელაშვილი) მოუვლელია ფიზკულტურული კლასდარბაზი, სპორტინვენტარი. ქვიშხეთისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომის საშუალო სკოლებში მოსწავლეები არ არიან დაყოფილნი სამედიცინო ჯგუფებად, რადგან არ ჩატარებულა მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. ფიზიკურად სუსტ მოსწავლეებთან ცალკე არ ტარდება მეცადინეობა. სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტში კლასგარეშე მუშაობას და სხვა.

ხაშურის მე-3, სურამის მე-2, გომის, ქვიშხეთის საშუალო და ხაშურის პირველ რვაწლიან სკოლებში ქართული ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის, ისტორიის საგნობრივი წრეების (გარდა ქვიშხეთისა და ხაშურის მე-3 საშუალო სკოლების ისტორიისა და გეოგრაფიის წრეებისა, რომელთაც უნარიანად ხელმძღვანელობენ გ. მარჩხაშვილი, თ. ჯაფარაშვილი, ნ. ქურდაძე) მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის გაფართოება-გაღრმავების საპატიო მიზნებს. წაკითხული მოხსენებების დიდი უმრავლესობა უინტერესოა, უგულებელყოფილია პრაქტიკული და საცდელი მუშაობა, თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღების დამზადება. გომის საშუალო სკოლის ისტორიის წრეში წაკითხული მოხსენება—„კომკავშირის ძალის და სიმტკიცის წყარო პარტიული ხელმძღვანელობაა“—სიტყვა-სიტყვით გადაწერილია გაზეთიდან.

დირექტორის მოადგილეებად კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში ხაშურის მე-3 (თ. რუსეიშვილი), სურამის მე-2 (თ. სირბილაძე), ქვიშხეთის (ა. ქურდაძე) და გომის (მ. სმირნიცკი) საშუალო სკოლებში უმაღლესი განათლებისა და საკმაო პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგები მუშაობენ, რომელთაც ძირითადად სწორად აქვთ დაგეგმილი თავიანთი მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ შემოქმედებითად ვერ ხელმძღვანელობენ და მიზანსწრაფულად ვერ წარმართავენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას, სუსტია მათი როლი პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, მასწავლებელთა კლასის ხელმძღვანელების აღმზრდელობითი საქმიანობის კოორდინირების საქმეში.

გორის, ხაშურის, ქვიშხეთის საშუალო და ხაშურის პირველ რვაწლიან სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა შედგენილი კლასის ხელმძღვანელთა გეგმები. გეგმებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მზადების საკითხებს. პიონერული კლასის ხელმძღვანელები არ იცნობენ პროგრამა ორიენტირსა და „პიონერული ორწლედის“ მოთხოვნებს.

შედარებით კარგად მუშაობენ გომისა და სურამის მე-2 საშუალო სკოლების პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები (უფროსი პიონერხელმძღვანელები ზ. ნოზაძე, ი. გლისაშვილი), ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის უფ. პიონერხელმძღვანელი თ. მახოჭაშვილი კი სუსტად ერკვევა პიონერული ორგანიზაციის სტრუქტურაში, მიზნებსა და ამოცანებში. რაზმეულისა და რაზმების შეკრებები, რომლებიც იშვიათად და უხალისოდ ტარდება, არ ემსახურებიან მოსწავლეთა ინიციატივის, თვითშემოქმედების განვითარებისა და იდეური წრთობის ამოცანებს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ სასკოლო ბიბლიოთეკები ხაშურის მე-3, გომისა და ქვიშხეთის სკოლებში, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სურამის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობა (გამგე ა. ქურდაძე). ბიბლიოთეკას შემოკრებილი ჰყავს ნორჩ მკითხველთა ფართო წრე. პერიოდულად გამოდის კედლის გაზეთი—„წიგნის ძალა". მოწყობილია ვ. ი. ლენინის შრომების გამოფენა, რეგულარულად ტარდება მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული დილა-საღამოები და სხვ.

შესწავლილ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შიდა სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა სასწავლო მეთოდურ მუშაობაზე. სკოლის დირექტორები და დირექტორების მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში სათანადოდ არ სწავლობენ თვითეული მასწავლებლის მუშაობას, არ ახდენენ მოწინავე გამოცდილების განზოგადებას. ყველა შემოწმებულ სკოლაში მასწავლებლის მუშაობის შესწავლა და მათთვის დახმარების გაწევა განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ დირექციის წარმომადგენლის გაკვეთილებზე დასწრებით და ისიც არარეგულარულად. მაგალითად, ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს ა. ნოზაძეს 10 თებერვლისათვის მოსმენილი ჰქონდა 38 გაკვეთილი, დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ვ. დაბრუნდაშვილს—33, გომის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ნოზაძეს—25. სკოლის ხელმძღვანელთა მიერ მოსმენილი გაკვეთილების ჩანაწერები ზოგჯერ ნაჩქარევად, ზერელედ არის შედგენილი.

მთელი რიგი საგნების სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების მიუხედავად, გომის, ხაშურის მე-3 და ხაშურის 1-ლ-რვაწლიან სკოლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე I და II მეოთხედის შედეგების შეჯამებისას არ გაუანალიზებიათ ცალკეული საგნების სწავლება და არც დაუსახავთ ღონისძიებანი მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესებისათვის. სკოლების ხელმძღვანელობას არ შეუსწავლია და არ გაუანალიზებია საკონტროლო წერების შედეგები, არ ჩაუტარებია მოულოდნელი საკონტროლო წერები და სხვ.

გაკვეთილების ცხრილის შედგენისას არ იცავენ მეთოდურ მოთხოვნებს. საგნების სიძნელეების მიხედვით დღეები თანაბრად არ არის დატვირთული და სხვ.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა. წაკითხული მოხსენებების დიდი უმრავლესობა თავის თეორიული და მეთოდური დონით ვერ პასუხობს სათანადო მოთხოვნებს.

საკლასო ჟურნალებში მიმდინარე შეფასების საფუძველზე არასწორად ხდება მეოთხედური ნიშნების გამოყვანა სურამის მე-2 (დირექტორი კ. ძესხი), გომის (დირექტორი გ. ნოზაძე), ქვიშხეთის (დირექტორი გ. მანჩხაშვილი) საშუალო და ხაშურის 1-ლ რვაწლიან (დირექტორი ალ. შათირიშვილი) სკოლებში.

შემოწმებულ ყველა სკოლაში დამახინჯებულია ფაკულტატიური მეცადინეობის პრინციპი და ამ მიზნისათვის განკუთვნილი საათები არადანიშნულებისამებრაა გამოყენებული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ხაშურის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე კ. ნადირაძე):

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექტორების, სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორების მოადგილეების, ორგანიზატორებისა და მასწავლებლების მუშაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს, რომლებსაც სერიოზული ხარვეზები აქვთ მუშაობაში და მთელი მათი საქმიანობა წაიმართოს სკოლის წინაშე მდგარი სადღეისო ამოცანების გადასაჭრელად;

ბ) ფართოდ დანერგოს რაიონის სკოლების მუშაობის პრაქტიკაში იმ მასწავლებლებისა და პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში;

გ) გარდაქმნას სკოლებში მეთოდური მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებების საქმიანობასა და მასწავლებელთა მიერ წაკითხული მოხსენებების ავკარგიანობას;

დ) ქმედითი ზომები მიიღოს სკოლების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების სათანადო ინვენტარით, ამწოვი კარადებით, ელექტროგაყვანილობით, საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კაბინეტ-ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში არსებული ხელსაწყო-იარაღების აღრიცხვა-შენახვისა და სწავლების პროცესში მათი გამოყენების საქმეს;

ე) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით ფართოდ გაშალოს მუშაობა სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. აქტიურად ჩაებას ამ საქმეში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

ვ) მოაწყოს სკოლებთან ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენ-ბურთის, ჩოგბურთის მოედნები და მძლეოსნური სექტორები;

ზ) აღნიშნული ბრძანება განიხილოს ყველა სკოლის პედა-გოგიური საბჭოს სხდომებზე და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი.

2. სკოლის დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი მასწავლებლების მუშაობაზე. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სანიმუშოდ ემზადებოდეს გაკვეთილებისათვის;

ბ) სისტემატურად და საფუძვლიანად შეამოწმონ ცალკეულ მასწავლებელთა გაკვეთილების ხარისხი. გულდასმით გაანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში;

გ) პერიოდულად შეამოწმონ საპროგრამო მასალის გავლისა და წერითი სამუშაოების სახეებისა და ნორმების დაცვის საკითხი. ყურადღებით შეისწავლონ ნაკლოვანებათა მიზეზები და დასახონ ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად;

დ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატურად განიხილონ ცალკეული საგნის სწავლების მდგომარეობა და მეოთხედური შედეგების განხილვისას დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ე) გადაჭრით გააუმჯობესონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ხარისხი. ჩაა-

ტარინ მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება და ფიზიკურად სუსტი მოსწავლეებისაგან შექმნან ცალკე ჯგუფები;

ვ) კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მთელი სისტემა წარმართონ მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებისა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აღზრდის, მათი ნიჭისა და უნარის შემდგომი განვითარების გზით;

ზ) იზრუნონ სკოლებში მეთოდური მუშაობის ფართოდ გაშლისა და მოსწავლეთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

თ) გაკვეთილების ცხრილის შედგენისას დაიცვან საგნების სიძნელე-სიადვილისა და დღეების თანაბარი დატვირთვის პრინციპი;

ი) მტკიცე კონტროლი დააწესონ სასკოლო დოკუმენტების წარმოების საქმეზე. აღმოფხვრან მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის, საკლასო ჟურნალებში ნიშნების გადასწორებაამოფხეკის შემთხვევები;

კ) სრულ წესრიგში მოიყვანონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები და კლასკაბინეტები, საცდელი ნაკვეთები, სახელოსნოები. შეავსონ ისინი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, სასწავლო მასალითა და ინვენტარით. მიაღწიონ საპროგრამო მასალით გათვალისწინებული ყველა ცდისა და ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარებას.

3. მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და საგნის სუსტი სწავლებისათვის გამოეცხადოს საყვედური გომის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ნოზაძეს.

4. არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის ხაშურის მე-3 საშუალო სოლის დირექტორს ა. ნოზაძეს მიეთითოს.

5. გომის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში რუსული ენის სუსტი სწავლებისათვის ახალი სასწავლო წლიდან ჩამოერთვას საათები ამ საგნის არასპეციალისტს მ. ლოლუაშვილს. განათლების განყოფილებამ მ. ლოლუაშვილს გამოუნახოს საათები მისი სპეციალობის მიხედვით.

6. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის მასწავლებლებს: ქართული ენისა და ლიტერატურის—დ. ნახუცრიშვილს (გომის საშ. სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის—ა. კუდინოვას, დ. მარგველაშვილს (ქვიშხეთის საშ. სკოლა), გ. ნადირაძეს (ხაშურის მე-3 საშ. სკოლა). ა. ჟვირბლისს (გომის საშ. სკოლა); მათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიკის—ბ. ლალუაშვილს, ს. ღონღაძეს, გ. წურიაშვილს (ქვიშხეთის საშ. სკოლა), ც. ბარბაქაძეს (ხაშურის მე-3 საშ. სკოლა), გ. ტაბატაძეს (სურამის მე-2 საშ. სკოლა); ქიმიის—შ. ცუცქირიძეს (ქვიშხეთის საშ. სკოლა), ნ. შიუკაშვილს (გომის საშ. სკოლა); ბიოლოგიის—ს. ჩოჩიშვილს (გომის საშ. სკოლა); ფიზკულტურის—ა. რობაქიძეს, ვ. ენჯიბაძეს (ქვიშხეთის საშ. სკოლა) მიეთითოთ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 9 აპრილის ბრძანება № 227

ბოლნისის რაიონის ზოგიერთ არაქართულ და არარუსულ სკოლაში ქართული და რუსული ენების სწავლების შემოწმების შედეგების შ ე ხ ა ხ ე ბ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს ბოლნისის რაიონის ზოგიერთ არარუსულ და და არაქართულ სკოლებში ქართული და რუსული ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ ამ საგნების სწავლებაში არსებულ ერთგვარ წარმატებებთან ერთად, ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არაქართულ და არარუსულ ზოგიერთ სკოლაში ქართულ და რუსულ ენაში მოსწავლეთა ცოდნა სუსტია, დაბალია მათი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა. მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ შეუძლია ამ ენებზე წაკითხულის შინაარსის ზეპირად და წერილობით გადმოცემა.

ქართულ ენას ზოგიერთ არაქართულ სკოლაში არასპეციალიტეტები ასწავლიან. ამ საგნების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ მუშაობს საკუთარი იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის და არ იცნობს სწავლების ძეთოდებს. გრამატიკას ასწავლის ლიტერატურული მასალისა და სასაუბრო მეტყველებისაგან მოწყვეტილად.

სკოლების დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეების კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ საგნების მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტია.

არადამაკმაყოფილებელია განათლების განყოფილებისა (გამგე ზ. ბარათაშვილი) და პედკაბინეტის (გამგე ამხ. მ. სულთანოვი) დახმარება ამ საგნების მასწავლებლებისადმი. პედკაბინეტთან სუს-

ტად მუშაობს არაქართული და არარუსული სკოლების ქართული
და რუსული ენების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების განყოფილებამ (გამგე ზ. ბარათაშვილი):

ა) სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი განიხილოს განათლების საბჭოს, არაქართული და არარუსული ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომებზე და დასახოს საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) ახალი სასწავლო წლიდან გაათავისუფლოს არაქართულ სკოლებში სუსტად მომუშავე არასპეციალისტები და მათ ადგილზე დანიშნოს სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები;

გ) უახლოეს დროში შეარჩიოს და დანიშნოს ამ საგნებში სასკოლო ინსპექტორი ან მეთოდისტი, რომელიც სათანადო დახმარებას გაუწევს სკოლებს სწავლების გაუმჯობესებაში;

დ) მიმდინარე წლის 25 მაისამდე მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ საკითხთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ბოლნისის რაიონში ჩატარდა არაქართული და არარუსული სკოლების ქართული და რუსული ენების მასწავლებელთა მეთოდური თათბირი, რომელმაც განიხილა ამ საგნების სწავლების შემოწმების შედეგები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ი. ბერიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოხსენებითი ბარათი

ბოლნისის რაიონის არაქართულ და არარუსულ ზოგიერთ სკოლაში ქართული და რუსული ენების სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებულ იქნა ბოლნისის რაიონში არაქართულ და არარუსულ სკოლებში ქართული და რუსული ენების სწავლების მდგომარეობა.

ამ საგნების შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორმა ის. წოწონავამ (ხელმძღვანელი), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტმა ა. ჭანკიევმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა ჯ. დადიანმა და ბ. იმნაძემ.

შემოწმების დროს გამოირკვა, რომ რაიონის არაქართულ სკოლებში ქართულ ენას ასწავლის 30 მასწავლებელი, აქედან არასპეციალისტია—16.

ქართული ენის სწავლება შემოწმებულ იქნა ბოლნისის, არახლოს, კოლაგირის საშუალო, აბადლოს რვაწლიან აზერბაიჯანულ, ბოლნისის რუსულ საშუალო და კიანეთის სომხურ რვაწლიან სკოლებში.

ქართულ ენას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები: ს. ანდიაშვილი (კიანეთის სომხური რვაწლიანი სკოლა), ზ. მეტრეველი, მ. კევლიშვილი, ტ. გერსამია (ბოლნისის რუსული საშუალო სკოლა), გ. მგელაძე (კოლაგირის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა), მ. მდივანი (აბადლოს აზერბაიჯანული რვაწლიანი სკოლა). ამ სკოლების მოსწავლეთა ცოდნა ქართულ ენაში დამაკმაყოფილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებს შეუძლიათ ქართულ ენაზე საუბარი, კითხვა-წერა.—კიანეთის სომხური რვაწლიანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელმა ს. ანდიაშვილმა VII კლასში მოსწავლეებს წააკითხა და შინაარსი მოაყოლა მოთხრობა „კაკანათისა". მოსწავლეებმა ტექსტი დამაკმაყოფილებლად წაიკითხეს და გადმოსცეს ზეპირად მისი შინაარსი. მასწავლებელმა ახსნა ახალი მასალა „იაკობი და ბავშვები", ახსნის დროს გამოიყენა მშობლიური და არამშობლიური ენების ფორმათა შედარება-შეპირისპირება, ჩაატარა სალექსიკონო მუშაობა, მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე თარგმნა ახალი სიტყვების მნიშვნელობა და ჩააწერინა სალექსიკონო რვეულებში. ტექსტის შინაარსის შესწავლას დაუკავშირა ქართული ენის გრამატიკის საკითხები. მოსწავლეები ავარჯიშა არსებითი სახელებისა და ზმნების ფორმების მეტყველებასა და წერაში პრაქტიკულ გამოყენებაზე და სხვ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. იმ სკოლებში, სადაც ამ საგანს არასპეციალისტები ასწავლიან, მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან ენა. მოსწავლეებს არ შეუძლიათ სწორი, სწრაფი და შეგნებული კითხვა, ღარიბია მათი ლექსიკური მარაგი, უძნელდებათ საუბარი წაკითხულისა და თავისუფალი თემის გარშემო. ამ მხრივ აღსანიშნავია ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლის შ. ოუხაძის მუშაობა. მას დამთავრებული აქვს სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. ამ სკოლის X კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის კითხვა, არ შეუძლიათ საუბარი. მასწავლებელმა მოსწავლეებს გამოკითხა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლიდან" ეპიზოდი, მაგრამ მათ ვერ შესძლეს მისი შინაარსის გადმოცემა, გაუძნელდათ საკლასო ოთახის აღწერა. მასწავლებელმა ახალი გაკვეთილი—„სტუმარ-მასპინძლის" ეპიზოდის „ნაცვალგების" შინაარსი მოჰყვა და ტექსტის წაკითხვას კლასში ადგილი არ ჰქონია. მასწავლებელს არ უწარმოებია ტექსტის ენობრივი ანალიზი და არ აუხსნია მასთან დაკავშირებული გრამატიკის საკითხები. ასევე ქართულ ენაში ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს არახლოს აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ამ საგანს სკოლაში ასწავლის ა. მელიქიძე, რომელსაც დამთავრებული აქვს ზოოვეტინსტიტუტი. X კლასის მოსწავლეებმა არ იციან კითხვა და არ შეუძლიათ საუ-

ბარი ქართულ ენაზე. მასწავლებელმა გაკვეთილი ჩაატარა მეცნიერ-
ულად და მეთოდურად დაბალ დონეზე.

შემოწმებულ სკოლებში დაბალია წერის კულტურა. მოსწავ-
ლეთა უმრავლესობა წერს უსუფთაოდ; მოსწავლეები არ არიან
დაუფლებულნი ქართული დამწერლობისა და მართლწერის წესებს.
სკოლებში ძირითადად ტარდება საშინაო და საკონტროლო წერე-
ბი, რაც შეეხება საკლასო-საავარჯიშოს იშვიათად მიმართავენ.
წერის სახეებიც ერთფეროვანია: ადგილი აქვს მხოლოდ კარნახსა
და ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას.

შემოწმებული სკოლის არცერთ მასწავლებელს არ აღმოაჩნდა
და არც იცნობენ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ
„მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის რიოდენობის, სახეებისა
და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენაში“.

იმ სკოლებში, სადაც ამ საგანს არასპეციალისტები ასწავლიან,
ნაკლებია მოსწავლეთა დაინტერესება ქართული ენის შესწავლით.
ასე, მაგალითად, ბოლნისის აზერბაიჯანული სკოლის X კლასში
გაკვეთილზე დაიგვიანა ხუთმა მოსწავლემ, ხოლო ხუთი მოსწავლე
გაკვეთილზე არ გამოცხადებულა. შემოწმებული სკოლების მოს-
წავლეების ერთი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სახელ-
მძღვანელოებით, ხოლო მასწავლებლებს არ გააჩნიათ პროგრამები.
ბოლნისისა და არახლოს აზერბაიჯანული სკოლების მასწავლებ-
ლებს არ აღმოაჩნდათ პროგრამები. ბოლნისის აზერბაიჯანული
სკოლის მასწავლებლები მუშაობენ 1961 წელს გამოცემული პრო-
გრამებით.

ქართული ენის მასწავლებლებისათვის როგორც სკოლებში,
ასევე პედაგოგიურ ტექნიკუმებში, არ არის შექმნილი მეთოდგაერთიანებები,
რის გამოც არ წარმოებს მათთან მეთოდური მუშაობა.

არარუსულ სკოლებში რუსულ ენას ძირითადად სპეციალის-
ტები ასწავლიან. ამ საგნის მასწავლებლები შ. ბუდაგოვი (ბოლ-
ნისის აზერბაიჯანული საშ. სკოლა), ვ. ვ. პოლუბედოვა, ე. კირ-
ვალიძე (კაზრეთის ქართული საშ. სკოლა), ვ. რიბალჩენკო (ბოლ-
ნისის ქართული საშ. სკოლა) დამაკმაყოფილებლად ასწავლიან. ამ
სკოლის მოსწავლეები კარგად კითხულობენ და თავისუფლად შეუ-
ძლიათ წაკითხულის შინაარსის გადმოცემა. მასწავლებლები ყურად-
ღებას აქცევენ სალექსიკონო მუშაობას, იბრძვიან მოსწავლეთა ზე-
პირი და წერითი მეტყველების განვითარებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მასწავლებელ გ. ფომიკინას
(არახლოს აზერბაიჯანული საშ. სკოლა) მუშაობა. მან კარგად
იცის საგანი და მისი სწავლების მეთოდები, ის სისტემატურად

ემზადება გაკვეთილებისათვის. მასწავლებელი გაკვეთილზე ეროვნული ბიბლიოთეკა
ყურადღებას უთმობს სალექსიკონო მუშაობას და ზეპირმეტყველების განვითარებას. V, VI, IX და X კლასების მოსწავლეებმა გავლილი საპროგრამო მასალის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს. მასწავლებელი გაკვეთილებზე იყენებს თვალსაჩინოებას, მოსწავლეები გაკვეთილის დროს ჩაბმული არიან მუშაობაში. ასევე კარგად მუშაობს დაწყებითი კლასების მასწავლებელი ე. კირვალიძე (კაზრეთის ქართული საშ. სკოლა), რომელიც მომზადებულად ატარებს გაკვეთილებს, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, მნიშვნელოვან დროს უთმობს მოსწავლეებში ზეპირი მეტყველებისა და კითხვის ტექნიკის განვითარებას.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, რუსული ენის სწავლებას არარუსულ სკოლებში ახასიათებს ნაკლოვანებები. შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად მუშაობს მოსწავლეებთან რუსული ენის დაუფლებისათვის. ზოგიერთი მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. მოსწავლეებმა არ იციან პროგრამით გათვალისწინებული საკითხები, არ აქვთ ლექსიკური მარაგი და არ შეუძლიათ საუბარი ამ ენაზე.

რუსულ ენას არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები ლ. ალიევა (ბოლნისის აზერბაიჯანული საშ. სკოლა), გ. ისმაილოვი, ს. იბრაგიმოვი (არახლოს აზერბაიჯანული საშ. სკოლა), ზ. ნაზაროვა (ბოლნის ქართული საშ. სკოლა). აღნიშნულ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ენის სწავლების პრაქტიკულ მხარეებს, არ წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული ლექსიკური მინიმუმის შესწავლა, გრამატიკის საკითხები ლიტერატურულ ტექსტთან ურთიერთობაში არ ისწავლება, ხშირად გრამატიკის წეს-კანონების განმარტება მექანიკურია და არ აქვთ მოსწავლეებს გამომუშავებული მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

შემოწმებულ ყველა სკოლაში წერის სახეები ერთფეროვანია, არ წარმოებს უცნობი ტექსტის შინაარსის გადმოცემა, არ არის გამოყენებული კარნახის ყველა სახე. საკონტროლო წერითი ნამუშევრები უყურადღებოდ სწორდება, ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელს შეუნიშნავი რჩება შეცდომები. მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორება არასისტემატურ ხასიათს ატარებს, ხშირ შემთხვევაში მასწავლებელი კმაყოფილდება შეცდომების ნაწერ-

ში ჩასწორებით, არ ახდენს მის კლასიფიკაციასა და ანალიზი-
რის გამოც მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორებაში კვლავ
შეინიშნება იმავე ხასიათის შეცდომები. არადამაკმაყოფილებ-
ლია მოსწავლეთა კალიგრაფია და წერითი ნამუშევრები ზო-
გჯერ უსუფთაოდ არის შესრულებული. არახლოს აზერბაიჯანული
საშ. სკოლის მასწავლებლებს გ. ისმაილოვასა და ჰ. იბრაგიმოვას
არცერთი საკლასო-საშინაო წერითი ნამუშევარი შემოწმების
დროისათვის გასწორებული არ ჰქონდათ. არასისტემატურად ტარ-
დება საკონტროლო წერისათვის მოსწავლეთა წინასწარი მოსამზა-
დებელი სავარჯიშო სამუშაოები.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს რუსული ენის მოსწავლეთა წრე
ბოლნისის ქართულ საშ. სკოლაში. წრის წევრები სხდომებზე კი-
თხულობენ მოხსენებებს, უშვებენ კედლის გაზეთებს, ხელნაწერ
ბიულეტენებს. მაგრამ შემოწმებულ სხვა სკოლებში ამ მხრივ თით-
ქმის არავითარი მუშაობა არ ტარდება, არა აქვთ სამუშაო გეგ-
მები და სხვ.

არაქართულ და არარუსულ სკოლებში ქართული და რუსული
ენების სწავლებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებები იმის
შედეგია, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სა-
სწავლო მუშაობის დარგში არ უწევენ ამ საგნების მასწავლებლებს
სათანადო კონტროლსა და დახმარებას, ამ ენების უცოდინარობის
გამო. ისინი ზოგჯერ ესწრებიან გაკვეთილებს, მაგრამ მათი ანა-
ლიზები სუსტია.

ასევე არადამაკმაყოფილებლადაა განათლების განყოფილების
(გამგე ზ. ბარათაშვილი) კონტროლი და დახმარება ამ საგნების
მასწავლებლებისადმი. რაიონის განათლების განყოფილებასა და
პედკაბინეტში არა ჰყავთ ქართულ და რუსულ ენებში სასკოლო
ინსპექტორი და მეთოდისტი.

არაქართულ და არარუსულ სკოლებში ქართული და რუსუ-
ლი ენების სწავლების გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია
გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

განათლების განყოფილებამ (გამგე ზ. ბარათაშვილი):

1. გააძლიეროს კონტროლი და დახმარება არაქართულ და
არარუსულ სკოლებში ქართული და რუსული ენების სწავლების
გაუმჯობესების მიზნით. შეამოწმოს ამ საგნების მასწავლებელთა
მუშაობა და განაზოგადოს მოწინავეთ გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ახალი სასწავლო წლიდან გაათავისუფლოს არაქართულ სკოლებში სუსტად მომუშავე ქართული ენის არასპეციალისტი მასწავლებლები და მათ ადგილზე დანიშნოს სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები.

3. უახლოეს დროში შეარჩიოს და დანიშნოს განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად ან მეთოდისტად ქართული და რუსული ენების მცოდნე, გამოცდილი პედაგოგები.

4. განათლების განყოფილების პედკაბინეტთან შექმნას ამ საგნების მეთოდური გაერთიანებები და მათ ხელმძღვანელებად დანიშნოს მოწინავე მასწავლებლები.

5. მიმდინარე სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე აღნიშნული მოხსენებითი ბარათი განიხილოს განათლების საბჭოს, არაქართული და არარუსული ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომებზე და დასახოს სათანადო ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ი. წოწონავა
ა. ჭანკიევი
ჯ. დადიანი
ბ. იმნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1969 წლის 4 აპრილის დადგენილება

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ 1969 წელს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ გაზეთი „სახალხო განათლება" გასულ წელს მთავარ ყურადღებას აქცევდა იმ ამოცანათა შესრულებას, რომლებიც დასახულია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, ზემდგომი ორგანოების დადგენილებებით—ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავისათვის მზადებისა და საშუალო და უმაღლესი სკოლების შესახებ.

გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში „სახალხო განათლება" სერიოზულ ყურადღებას აქცევდა და თავის ფურცლებზე ფართოდ აშუქებდა ლენინურ თემას. რედაქციამ 1967 წელს შეიმუშავა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და კომკავშირის დაარსების 50-ე წლისთავის, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის, აგრეთვე ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების მე-100 წლისთვის იუბილეებისათვის მზადების გეგმები. ამ გეგმების საფუძველზე გაზეთი თანმიმდევრულად აქვეყნებდა თეორიულ და პროპაგანდისტულ სტატიებს. ამ თემებს მიეძღვნა არაერთი მოწინავე წერილი. თემატიკური გვერდები რუბრიკით „ლენინური სწავლების წელი" გაზეთმა შარშან სექტემბრიდან დღემდე უკვე ექვსჯერ დაბეჭდა. ამ გვერდებში ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ და საფუძვლიანად არის გაშუქებული ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პრინციპები, სახალხო განათლების განვითარების გზები, სასკოლო პრობლემები, სწავლებისა და აღზრდის, მასწავლებელთა იდეური, თეორიული და მეთოდური ცოდნის დონის ამაღლების საკითხები. გაზეთის სპეციალური საიუბილეო ნომრები მიეძღვნა კომკავშირის არსებობის 50-ე და ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების მე-100 წლისთავს. გაზეთმა მიმდინარე წლის 14 მარტს დასტამბა სპეციალური გვერდი ანშლაგით „ძვირფასი, საყვარელი, მშობლიური", რომელშიც პირველად გამოქვეყნდა ქართულ ენაზე ვ. ი. ლენინის დაბადების მახლობელთა მოგონებები დიდ ბელადზე. ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის მზადებას მიუძღვნა რედაქციამ შარშან ნოემბერში გაზეთის საკუთარ კორესპონდენტთა ხუთდღიანი თათბირ-სემინარი. „უჩიტელსკაია გაზეტამ" 25 მარტს გამოაქვეყნა სტატია „სიმწიფის გამოცდა", რომელშიაც დიდი ადგილი დაუთმო „სახალხო განათლების მიერ ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი თემატური გვერდების მიმოხილვას და მაღალი შეფასება მისცა მათ.

ლენინურ თემაზე გამოქვეყნებული მასალებით გაზეთი „სახალხო „განათლება" ეხმარება რესპუბლიკის მასწავლებლობას, სახალხო განათლების ორგანოებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებსა და სტუდენტ ახალგაზრდობას—იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებაში, ხელს უწყობს სახალხო განათლების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის საპროგრამო დოკუმენტების გაცნობას და მათი განხორციელებისათვის ბრძოლას. გაზეთი თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა და უთმობს სასკოლო ცხოვრების, სწავლა-აღზრდის პრობლემური საკითხების გაშუქებას, დაწყებითი სკოლის სამწლიანი პროგრამების პროექტების ახალი სახელმძღვანელოების განხილკას, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, სასკოლო პარტიული, პროფკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მშობელთა შორის მუშაობის გაუმჯობესების, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხებს.

ამასთან ერთად, „სახალხო განათლების" რედაქციის მუშაობაში ზოგიერთი ნაკლიც არის. გაზეთი ჯერ კიდევ სუსტად აშუქებს ახალ პროგრამებზე სკოლების გადასვლის საკითხებს, იშვიათად აქვეყნებს მასალებს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის, სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოების ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციულ-პედაგოგიურ საკითხებზე, მასწავლებელთა პედაგოგიური კულტურის, მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის შესახებ. არასაკმარისად აქვეყნებს მასალებს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ზნეობრივ, იდეურ აღზრდაზე, საზოგადოებათმცოდნეობის, ზოგადი ბიოლოგიისა და ზოგიერთი სხვა საგნის სწავლების გამოცდილებაზე. საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღებისა და საბავშვო სახლების საქმიანობაზე. ასევე არასაკმარისად აქვეყნებს რეცენზიებს საბავშვო ლიტერატურაზე, სპექტაკლებსა და აღზრდის თემაზე გამოსულ კინოფილმებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი.

2. გაზეთმა ყურადღება გაამახვილოს მასწავლებლის იდეურ-თეორიული დონისა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლების საკითხებზე. გამოქვეყნებული მასალებით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მასწავლებლის აქტიურ ჩაბმას, მის იდეურ სიმწიფეს, მეცნიერული ცოდნის გაღრმავებასა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებას.

გაზეთმა კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავისათვის მზადებას, სისტემატურად გამოაქვეყნოს სტატიები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის თაობაზე, ლენინური მუშაობის სტილზე, სახალხო განათლების მიღწევებზე, რითაც სახალხო განათლების მუშაკებს ძობილიზაცია უყოს დიადი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

1969 წელს გაზეთ „სახალხო განათლების" ძირითად ამოცანად მიჩნეულ იქნას საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისა და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის საფუძვლიანი გაშუქება; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის, ცოდნის ხარისხის ამაღლების, ამის საფუძველზე მეორეწლიანობის თავიდან აცილე-

ბის პრობლემური საკითხების გაშუქება, დაეხმაროს მასწავლებლებს, სკოლისა და სახალხო განათლების ხელმძღვანალებს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მუშაობის გაუმჯობესებაში, მათ მიერ პროფესიების სწორ შერჩევაში, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობის გაძლიერებაში, ხელი შეუწყოს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმეს. სახალხო განათლების ორგანოების მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრებას; ყოველმხრივ გააშუქოს სახალხო განათლებისადმი, სკოლისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები.

2. მოწონებულ იქნას გაზეთ „სახალხო განათლების" მუშაობის 1969 წლის ძირითადი მიმართულება.

საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**	განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 11 აპრილის გრძანება № 230

ქ. ცხინვალის, ცხინვალისა და ჯავის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონების სკოლებსა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, სპორტსმენ-თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებაში. ადგილობრივი ორგანოები და ფიზკულტურული ორგანიზაციები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ სკოლებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში. ოლქის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით არაცენტრალიზებული (ჭარბი შემოსავლის) თანხებით ქ. ცხინვალში აშენდა და მომავალი სასწავლო წლისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი: საცურაო აუზი 25×14 მ. სახტომი ტრამპლინითა და კოშკურით, კალათბურთის, ფრენბურთის და ჩოგბურთის მოედნები, მძლეოსნობისა და კომპლექსური სპორტული სკოლისათვის დარბაზი 42×22 მ. დამხმარე სათავსოებით. მშენებლობის პროცესშია ფეხბურთის სტადიონი.

სკოლებში ერთგვარად გაუმჯობესდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული მუშაობა, გასულ წელს მომზადდა 13 პირველი, 97 მეორე, 397 მესამე და 1.300 ჭაბუკთა თანრიგოსანი, იმშთ ნიშანზე ჩააბარა 1 090, მშთ I საფეხურზე 1.125 და მშთ—II საფეხურზე 230 მოსწავლემ.

ცხინვალის მე-3, მე-5 და რიგ სხვა სკოლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილები დამაკმაყოფილებლად ტარდება, მოსწავ-

ლები კარგად ფლობენ გავლილ საპროგრამო მასალას, კლასგარეშე და სკოლის გარეშე სპორტულ მუშაობაში გაერთიანებულია მოსწავლეთა უმრავლესობა, სისტემატურად ტარდება სექციური მეცადინეობები, შინასასკოლო შეჯიბრებები, მასობრივ-ტურისტული ლაშქრობები, სასკოლო სპარტაკიადები და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

ცხინვალის ბავშვთა-მოზარდთა კომპლექსურ და მძლეოსნურ სპორტულ სკოლებში მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელ-მასწავლებლები, სპორტული ჯგუფები დაკომპლექტებულია კარგი მონაცემების მქონე ბავშვებით, გაკვეთილები ტარდება ორგანიზებულად და მაღალ დონეზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოწმებულ სკოლებსა და სპორტული სკოლების მუშაობაში გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებანი. ზოგიერთი მასწავლებელი წინასწარ საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილებისათვის, რის გამო მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები ნაკლებად ეფექტურია. ცხინვალის № 2, № 4, № 7 და ჯავის საშუალო სკოლებში ფიზიკური კულტურის სასკოლო პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივაა გავლილი, სუსტია მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება.

რიგ სკოლებში სპორტულ სექციებსა და გამაჯანსაღებელ-სპორტულ მუშაობაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა ჩაბმული, ნაკლები რაოდენობით ტარდება შინასასკოლო შეჯიბრებები, ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები, ჯავის საშუალო სკოლის III—X კლასების მოსწავლეთა საერთო კონტინგენტიდან სპორტულ სექციებში ჩაბმულია მხოლოდ 76 მოსწავლე, ცხინვალის მე-10 საშუალო სკოლაში 34 მოსწავლე, მე-2 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა 25% და სხვა.

ქ. ცხინვალის და აღნიშნული რაიონების სკოლებში ჩატარებულია სასწავლო წლის დასაწყისში პირველადი სამედიცინო შემოწმება, ხოლო კლასგარეშე და სკოლის გარეშე სპორტულ სექციებში ჩაბმულ მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებულა; სკოლებში სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვები არ არიან დაყოფილი სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებად და მათთან ამ მიმართულებით არავითარი მეცადინეობები არ წარმოებს.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო ფიზკულტურული დოკუმენტების წარმოების საქმეში ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლაში.

ცხინვალის № 1 (დირექტორი—ვ. კასრაძე), № 2 (დირექტორი—თ. ოსტაევი), № 4 (დირექტორი—მ. გაგლოშვილი) საშუალო სკოლების სპორტული დარბაზები არ არის კეთილმოწყობილი და გამოყენებული დანიშნულებისამებრ, სკოლებს აკლიათ სპორტული ინვენტარი, რითაც ხელი ეშლებათ ფიზკულტურის გაკვეთილების ნორმალურად ჩატარების საქმეში.

მოუვლელია და შეკეთებას მოითხოვს ცხინვალის მე-2 და მე-5 საშუალო სკოლების სპორტული დარბაზები. სრულიად არ გააჩნია სპორტული დარბაზი ცხინვალის მე-7 საშუალო სკოლასა და ცხინვალის რაიონის სოფ. აჩაბეთის რვაწლიან სკოლას.

ცხინვალის მე-7, მე-8, მე-10 და ჯავის საშუალო სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები იშვიათად ესწრებიან ფიზკულტურის გაკვეთილებს, არ იხილავენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ფიზიკური კულტურისა და სპორტული მუშაობის საკითხებს. რაიონის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებთან სისტემატურად არ ტარდება მეთოდური ხასიათის თათბირ-სემინარები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის 62 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკური კულტურის ხელმძღვანელის თანამდებობა შემოღებულია მხოლოდ 16 სკოლაში.

სპორტული ბაზების ნაკლებობას განიცდიან ასევე ქ. ცხინვალის ბავშთა მძლეოსნობის და კომპლექსური სპორტული სკოლები, რაც აფერხებს სპორტული ჯგუფების ნორმალურ მუშაობას და მაღალი თანრიგის სპორტსმენების მომზადებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ (გ. ძაგოევი) გაატაროს ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

ა) აამაღლოს განათლების განყოფილებებისა და სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში; საოლქო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილოს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები და მიიღოს ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სათანადო ყურადღება დაუთმოს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ფიზკულტურის საგნის მეთოდურ გაერთიანებაში ჩააბას დაწყებითი კლასების მასწავლებლები; იქ, სადაც დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არ შესწევთ უნარი ჩაატარონ გაკვეთილები პროგრამის მოთხოვნილების შესაბამისად, არსებული წესის დაცვით, ეს გაკვეთილები გადასცეს ამ საგნის სპეციალისტებს;

გ) ყურადღება გაამახვილოს სკოლებში პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობის ჩატარების ხარისხზე, მიაღწიოს იმას, რომ ყველა სკოლის III—X კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან კლასგარეშე და სკოლის გარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმული იქნეს არა უმცირეს 70%-ისა;

დ) დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს სპორტული ბაზების მოწყობისა და სასწავლო ინვენტარის შესაძენად სათანადო თანხების გამოყოფაში;

ე) მიიღოს ზომები ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად; მაქსიმალურად გამოიყენოს სპორტული სკოლები ქალაქისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ვ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებასთან ერთად გაატაროს ღონისძიებანი მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად, მიიღოს ზომები სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეების სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებად დაყოფისა და მათთან სათანადო მეცადინეობების ჩატარების შესახებ.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატური დახმარება გაუწიონ და კონტროლი დააწესონ ფიზკულტურის მასწავლებლების მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ როგორც გაკვეთილები, ასევე კლასგარეშე სპორტული მუშაობა მიმდინარეობდეს საპროგრამო მოთხოვნილებათა სრული დაცვით;

ბ) ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის ნორმალურად ჩატარების მიზნით, წესრიგში მოიყვანონ სპორტული სასწავლო მატერიალური ბაზები; უზრუნველყონ სკოლები საჭირო სპორტული ინვენტარით, სამეცადინო ადგილებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და არ დაუშვან სპორტული ბაზების სხვა დანიშნულებით გამოყენება;

გ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობაზე, აღმოუჩინონ მათ პრაქტიკული დახმარება მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი სპორტული ღონისძიებების ჩატარებაში. მიიღონ ზომები მშთ—ნიშნოსნებისა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების თვითვალდებულებების შესასრულებლად;

დ) რეგულარულად დაესწრონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს და კლასგარეშე—სპორტულ მეცადინეობებს; სისტემატურად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 მარტის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 7 აპრილის ბრძანება № 222

რესპუბლიკის სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობის შემოწმების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე 1968—1969 სასწავლო წელს ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად შემოღებულ იქნა ფაკულტატიური მეცადინეობა ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში. მეცადინეობის ეს ფორმა წარმოადგენს მეცნიერებისადმი ინტერესის გაზრდის საწინდარს და საშუალებას აძლევს მოსწავლეს თავისი სურვილის მიხედვით არჩეულ საგანში გაიღრმავოს ცოდნა.

ამ საკითხზე განათლების სამინისტრომ ადგილობრივ ორგანოებს დაუგზავნა მითითებანი. სკოლების დიდმა ნაწილმა სწორად გაიგო ფაკულტატიური მეცადინეობის არსი და მუშაობაც სათანადოდ წარმართა: ფაკულტატიური მეცადინეობა შემოიღო ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით იმ სასწავლო დისციპლინაში, რომლის უფრო ღრმად შესწავლისათვის სკოლას ჰყავდა მაღალკვალიფიციური პედაგოგები და ჰქონდა სათანადოდ მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები. რიგ სკოლაში შედგენილია ფაკულტატიური მეცადინეობის ცალკე ცხრილი და მასწავლებლები სარგებლობენ სპეციალური პროგრამებით, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა პერიოდულ პრესაში.

ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად მუშაობენ: თბილისის 22-ე, 23-ე, 29-ე, 50-ე, 52-ე, 55-ე, 56-ე, 76-ე, 78-ე, 88-ე, 96-ე, 123-ე, 116-ე, 140-ე, რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლა, ქ. ფოთის მე 3, ქ. ჭიათურის მე-3, მე-5, ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის, რგანის, ქვაციხის საშუალო სკოლები.

ზოგიერთი რაიონისა და სკოლის ხელმძღვანელებმა ვერ შეაფასეს ფაკულტატიური მეცადინეობის მნიშვნელობა და საკუთარ გეგმაში ამ მიზნით გამოყოფილი საათები არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს. ქ. თბილისის ლენინის რაიონის სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობისათვის გათვალისწინებული 391 საათიდან 214 საათი დათმობილი აქვს წრეობრივ მუშაობას და მხოლოდ 117 საათი—ფაკულტატიურ მეცადინეობას. ასევე სხვა მიზნით არის გამოყენებული ფაკულტატიური საათები ქ. თბილისის 31-ე, 33-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე, მე-40, 42-ე, 43-ე, 46-ე, 47-ე, 49 ე, 58-ე, 61-ე, 81-ე, 87-ე, 90-ე, ქ. ჭიათურის მე-2, თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ბოგვის საშუალო სკოლებში, ქ. ფოთის 1-ლ, მე 2, მე-4, მე-5, ხაშურის რაიონის სურამის მე-2, ქვიშხეთის საშუალო სკოლებში. დასახელებულ სკოლებში ეს საათები ქორეოგრაფიის, ორკესტრის, საჰაერო თავდაცვის წრეების ხელმძღვანელებსა და აკორდეონზე დამკვრელისათვისაც კი მიუციათ. ქ. სოხუმის სკოლებში 63 საათი ეძლევა ჭრა-კერვას, 291 საათი სპორტულ მეცადინეობას, 50 საათი—მხატვრულ კითხვას, დუშეთის რაიონის 16 სკოლაში ფაკულტატიური მეცადინეობის საათები მთლიანად ფიზიკურ მომზადებას ხმარდება. თეთრიწყაროს რაიონის ბოგვის საშუალო სკოლაში ფაკულტატიური მეცადინეობის საათებს იყენებენ გეოგრაფიაში ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში სათანადოდ არ არის დაცული ფაკულტატიური საგნების თანაფარდობა. მეტწილად ირჩევენ მათემატიკას ქიმიასა და ფიზიკას. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონში 23, ორჯონიკიძის რაიონის 15, ქ. ჭიათურისა და ჭიათურის რაიონის 30 სკოლაში და დუშეთის რაიონის 7 სკოლაში ფაკულტატიური მეცადინეობის საათები ეთმობა მათემატიკას, ჭიათურის რაონის 25 სკოლაში—ფიზიკას, ორჯონიკიძის რაონის 8 სკოლაში—ქიმიას, აღსანიშნავია, რომ დიდია მისწრაფება მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ციკლის საგნებისადმი, მაგრამ ეს გარემოება არ უნდა იწვევდეს ინტერესის შესუსტებას მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის და სხვა სასწავლო დისციპლინებისადმი.

ფაკულტატიური მეცადინეობა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ქ. თბილისის კალინინის რაიონის მხოლოდ ერთსა და ოქტომბრის რაიონის 2 სკოლაშია გათვალისწინებული. აღნიშნული ფაქტები მეტყველებს იმაზე რომ სკოლის ხელმძღვანელებმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიურმა კოლექტივებმა სწორად არ განუმარტეს მოსწავლეებს ფაკულტატიური მეცადინეობის მნიშვნელობა, ვერ მისცეს მათ სწორი ორიენტაცია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დასაბონ სათანადო ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. გატარებული ღონისძიებების შესახებ წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათი განათლების სამინისტროში არაუგვიანეს 30 აპრილისა;

ბ) განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ ფაკულტატიური მეცადინეობის სწორ ორგანიზაციაზე;

გ) ფაკულტატიური მეცადინეობის მაღალი თეორიული დონის მისაღწევად მიიზიდონ პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების, სახალხო მეურნეობებისა და კულტურის დარგის სპეციალისტები.

2. პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძემ):

ა) უზრუნველყოს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მეთოდური რეკომენდაციების დროულად შემუშავება;

ბ) ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს ფაკულტატიური კურსის წამყვან მასწავლებლებს „პედაგოგიური კითხვებისათვის" მოხსენებების მომზადებაში.

3. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახიამ) და მეთოდურმა განყოფილებამ (ამხ. ვ. ცაავამ), სკოლებისათვის მეთოდური დახმარებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით პერიოდულად შეისწავლონ ფაკულტატიური მეცადინეობის მდგომარეობა რესპუბლიკის სკოლებში.

4. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძემ) დააჩქაროს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის საკითხავი მასალების, მეთოდური და სხვა დამხმარე ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე.

5. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ და გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციებმა (ამხ ამხ. გ. საჯაია, ნ. შველიძე) მეტი ყურადღება მიაქციონ ფაკულტატიური მეცადინეობის მასალების გამოქვეყნებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბერიაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატისადმი
№ 185/40

1969 წ. 27 მარტი

რესპუბლიკის იმ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სადაც 1969 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებული იქნება დაწყებითი სამხედრო მომზადება, სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო-სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მოწყობის

შ ე ს ა ხ ე ბ

I. მოსწავლე ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხედრო კომისრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სამხედრო კომისრებმა:

ა) საშუალო სკოლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩატარებისას პირველ რიგში გაითვალისწინონ სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო სასწავლო-იარაღების შესანახი ოთახების მოწყობა;

ბ) სამხედრო კაბინეტების მოსაწყობად გამოყონ ფართობი ზომით არანაკლებ 50—60 კვ. მეტრისა, და სათანადოდ მოაწყონ და აღჭურვონ ისინი, ხოლო სამხედრო-სასწავლო იარაღების შესანახი ოთახისათვის გამოყონ 15—20 კვ. მეტრის ფართობი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამხედრო კაბინეტები მოაწყონ სარეკომენდაციო დებულების მიხედვით, რომელიც დაეგზავნა ადგილებს, ხოლო იარაღების შესანახი ოთახი მოეწყოს იარაღების მოვლა-შენახვის შესახებ 1968 წლის 23 ივლისს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად;

დ) სასწავლო-იარაღების შესანახი ოთახი იზოლირებული უნდა იყოს სხვა ოთახებისაგან, მას უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, მაგარი კონსტრუქციის იატაკი, ჭერი და კარ-ფანჯრები, ოთახში უნდა დაიდგას იარაღების შესანახი რკინის კარადა, პირამიდა, თაროები და იარაღების გასაწმენდი მაგიდა. ოთახის კარები საგანგებოდ უნდა იქნეს გაკეთებული რკინის ან მაგარი ჯიშის ხის კონსტრუქციისაგან, რომელსაც გარედან გადაკრული ექნება ლითონის ფურცელი და საიმედოდ დაიკეტება. ფანჯრებს გაკეთებული უნდა ჰქონდეს რკინის გისოსები და მასზე მიმაგრებული უნდა იქნეს რკინის ბადურა, რომლის განივი კვეთი არ უნდა აღემატებოდეს 8—10 მმ;

ე) იარაღების მოვლასა და შენახვაზე პერსონალურად პასუხისმგებელნი გახადონ სკოლების დირექტორები, ხოლო უშუალო პასუხისმგებლობა დააკისრონ სამხედრო ხელმძღვანელებს, რისთვისაც შემოიღონ სასწავლო იარაღების შესანახი ოთახის მიღება-გადაბარების დადგენილი წესები;

ვ) 1969 წლის 20 აგვისტომდე შეამოწმონ სკოლებთან სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო სასწავლო-იარაღების შესანახი ოთახების მოწყობის მდგომარეობა და შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და საჭირო შემთხვევაში აღმასკომების სხდომებზე.

2. საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო-სასწავლო იარაღების იმგვარად მოვლასა და შენახვას, რითაც გამორიცხული იქნება იარაღების დაზიანების, დაკარგვისა და გატაცების ყოველგვარი შესაძლებლობა;

ბ) სამხედრო-სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მიღება-ჩაბარება ბრძანებით დაავალონ სკოლის დარაჯებს (ოთახი უნდა იკეტებოდეს რამდენიმე საკეტით, იბეჭდებოდეს ლუქით ან პლომბით და უზრუნველყოფილ იქნეს საიმედო დაცვით) და სისტემატური კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სკოლებს არ გასცენ სამხედრო-სასწავლო იარაღების შენახვის ნებართვა, ვიდრე იარაღის შენახვის საქმე სათანადოდ არ იქნება მოწესრიგებული და უზრუნველყოფილი საიმედო დაცვით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის სათანადო განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. კინწურაშვილი და ალ. ორახელაშვილი) ქმედითი კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე და შემოწმების შედეგები პერიოდულად მოგვახსენონ.

საქართველოს სსრ განათლების	საქართველოს სსრ სამხედრო
მ ი ნ ი ს ტ რ ი	კომისარი გენერალ-მაიორი
თ. ლაშქარაშვილი	**ვ. მურუსიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 31 მარტის ბრძანება № 187

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1968—1969 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დიდმა ნაწილმა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრა 1968—1969 სასწავლო წლის პირველი ნახევარი. ამ დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივები თავიანთ მუშაობას წარმართავდნენ ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად ჩატარების ნიშნის ქვეშ.

სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მოწყობილია ბელადის სახელობის მუზეუმები, მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტენდები და გამოფენები, ტარდება ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრებები, დილა-საღამოები და სხვ.

მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოპოვებული თბილისის ფიზიკა-მათემატიკის, ქუთაისის რვაწლიან, გურჯაანის, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის, ატენის, კასპის, ტაშისკარის, წალენჯიხის, საგურამოს, თბილისის რვაწლიან, ბათუმის № 2 (სალიბაურის) სკოლა-ინტერნატებს, მახინჯაურის, ქურთის, სამგორის, ეწერისა და ლენინგორის საბავშვო სახლებს, ქ. თბილისის უსინათლოთა და ყრუ-ბავშვთა სპეციალურ სკოლა-ინტერნატებს. აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებებში აღსაზრდელთა შორის ფართოდაა გაშლილი აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა. საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ნივთიერი ბაზის განმტკი-

ცების მხრივაც. გაიზარდა სკოლა-ინტერნატების დირექტორების და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეების კონტროლი მასწავლებლებისა და აღმზრდელების მუშაობაზე, დღის რეჟიმისა და აღსაზრდელების მიერ სკოლის შინაგანაწესის შესრულებაზე.

სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა წარმატებით ართმევს თავს თავის მოვალეობას, ყოველდღიურად იმაღლებს კვალიფიკაციას, გულმოდგინებით ემზადება გაკვეთილებისათვის; წარმატებით იყენებს პრაქტიკაში თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს და მოსწავლეებს აძლევს მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას და სხვ.

კარგად მუშაობენ წალენჯიხის სანატორიული სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ფ. ლაგვილავა, რუსული ენის მასწავლებელი ფ. თვალთვაძე, კასპის სკოლა-ინტერნატის ქიმიის მასწავლებელი ნ. ხომერიკი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქ. ალექსიძე, ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მათემატიკის მასწავლებელი ც. ღვინიანიძე, კიცხის სკოლა-ინტერნატის I კლასის მასწ. ნ. ჩინჩალაძე, II კლ. მასწავლებელი ნ. თუთბერიძე, გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ს. ჭალაგანიძე, ფიზიკის მასწ. ა. სურმავა, ქართული ენის მასწ. ი. ალანია, ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მასწ. მასწ. ა. გოცირიძე, მ. წულაია, ი. გალპერინი, ზ. ხელიძე, თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის მასწ. მასწ. ნ. საღირაშვილი, ი. ბოლოთაევა, ვ. გონჟანსკაია და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის მუშაობაში კვლავ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებას და დარღვევებს.

სკოლა-ინტერნატებში სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული 22.000 აღსაზრდელის ნაცვლად 1969 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 21.225, ე. ი. გეგმასთან შედარებით 775-ით ნაკლები. გეგმიურ კონტინგენტთან შედარებით განთიადის № 1 სკოლა-ინტერნატს 49 აღსაზრდელი აკლია, ყაზბეგის სკოლა-ინტერნატს—27, ხულოს—34, წითელწყაროს—56, ბარისახოს—36, თბილისის მუსიკალურს—33, კირნათის—27, ბოდბის—43 და მარნეულის სკოლა-ინტერნატს—44.

სკოლა-ინტერნატებში შეფასებული 21.030 აღსაზრდელიდან ყველა საგანში ასწრებს მხოლოდ 18.413, ვერ ასწრებს 2.617.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო მოსწრება 91,7%-ს შეადგენს; დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს ახალქალაქის სკოლა-ინტერნატს—ასწრებს მოსწავლეთა მხოლოდ 79,9%, ლეხტეხის სკოლა-ინტერნატს—73,9%, მარნეულის სკოლა-ინტერნატს—70,2% და ა. შ.

არ არის შესრულებული სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის გეგმა საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში. მათში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.315 აღსაზრდელისა 1969 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 4.771 აღსაზრდელი—544 აღსაზრდელით ნაკლები; შეფასებული 3.970 აღსაზრდელიდან ყველა საგანში ასწრებს 3.653 აღსაზრდელი, ე. ი. 92%.

ახმეტის სკოლა-ინტერნატში სასწავლო-საალმზრდელო პირობები ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს. სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ყურადღება არ ექცევა სკოლა-ინტერნატის ქონების მოვლა-პატრონობას, ადგილი აქვს მაგარი ინვენტარის დაკარგვისა და წყობიდან ნაადრევად გამოყვანის ბევრ შემთხვევას. აღსაზრდელებს დიდი რაოდენობით აკლიათ ნორმით გათვალისწინებული ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. მოუწესრიგებელია აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე. სკოლა-ინტერნატში ნაცვლად ოთხჯერადი კვებისა, დაწესებულია სამჯერადი კვება. 1963 წლის 9 თვეში აღსაზრდელებს დააკლეს: ხორცი 1.370 კგ, ბოსტნეული 8.640 კგ, კვერცხი—18.950 ცალი, კარტოფილი 12.290 კგ და სხვ. არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენა; არ არის მოყვანილი წესრიგში პირსაბნები. სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს საფინანსო დისციპლინის დარღვევებსა და ბიუჯეტით ასიგნებული თანხების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტებს. ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების დიდი რაოდენობით გაცდენას. არის ინტერნატიდან აღსაზრდელთა გაპარვის შემთხვევები. ინტერნატის ხელმძღვანელობა საჭირო ზომებს არ ღებულობს ინტერნატიდან წასული მოსწავლეების სწავლებაში ჩასაბმელად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არადამაკმაყოფილებლად ისწავლება სკოლა-ინტერნატში ქიმია (მასწ. ნადირაშვილი), გეოგრაფია (მასწ. მ. მარტიაშვილი), უცხო ენა (მასწ. შაშიაშვილი); მოსწავლეთა დიდი ნაწილი სუსტად ფლობს გავლილ მასალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცხის სკოლა-ინტერნატის ღობე (ბავთულბადე) ძალზე ძველებულია და მისი შეცვლა-გამაგრებაა საჭირო. ხევის წყალი, რომელიც ეზოს გვერდით ჩაუდის წალეკვით ემუქრება შენობა-ნაგებობებსა და კარმიდამოს. მიუხედავად იმისა, რომ 1968 წელს ხევის კალაპოტის გასამაგრებლად განათლების სამინისტრომ დაუშვა 15 ათასი მანეთი, სამუშაო არ დაწყებულა და თანხა დარჩა აუთვისებელი. ჯერ კიდევ არაა კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, დარბაზი და გასახდელი ოთახები, აკლიათ სხვადასხვა სახის ინვენტარი. ცუდად მუშაობს ელექტროგაყვანილობის ქსელი; ხშირად ითიშება სინათლე, ყველგან არაა დაცული უსაფრთხოების წესები. დამტვრეულია მერხები, კარადები, საკლასო დაფები; სამხარეულოში დიდი ხანია უქმად დგას ჩაის სადუღარი ქვაბი, არ აქვთ პურისა და კარაქის საჭრელი მანქანები. სისტემატურად არ ხდება საპირფარეშოების ჩარეცხვა; არ აქვთ საჭირო რაოდენობის საპეურნეო და სასმელი წყალი.

სკოლა-ინტერნატში არ მუშაობს მზრუნველთა საბჭო და საშეფო ორგანიზაცია; სუსტია სკოლა-ინტერნატის კავშირურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან. დიდია მოსწავლეების მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა, ცუდად მუშაობენ აღმზრდელები მ. გიორგაძე, ც. ჩიმაკაძე, ა. მაღრაძე.

სუსტია უფროსი აღმზრდელის ე. ბუაჩიძის კონტროლი და დახმარება აღმზრდელებზე. იგი არ ამოწმებს მიცემული დავალებების შესრულებას. რიგ შემთხვევაში სააღმზრდელო ჯგუფის ჟურნალებში აღმზრდელებს შეაქვთ დღიური გეგმის სახით სარეჟიმო მომენტები და არ ხდება ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა. საკლასო ჟურნალები არაა სათანადოდ მოვლილი, რიგ შემთხვევაში მასწავლებლებს ჟურნალში არ შეაქვთ გადაცემული მასალა და თუ შეაქვთ ნაჩქარევად, გაურკვეველი ხელით, რომელიც არ იკითხება; ზოგჯერ ამოფხეკილი და ჩასწორებულია ნიშნები. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს აკლიათ 5 დასახელების 56 ც. სახელმძღვანელო. VIII კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის საკონტროლო წერაში (მასწ. მ. გიორგაძე) 29 მოსწავლიდან 4 და 5 არ მიუღია არც ერთ მოსწავლეს, 2 ზე შეფასდა 8 მოსწავლის ნამუშევარი, VII კლასში რუსულ ენაში საკონტროლო წერის დროს 26 მოსწავლის ნამუშევრიდან 2-ზე შეფასდა 9 მოსწავლის ნამუშევარი (შემცვლელი მასწავლებელი კ. თხელიძე), V კლასის 35 მოსწავლიდან რუსულ ენაში „2“ დაეწერა 8 მოსწავ-

ლეს) მასწ. პ. მაჭავარიანი), ხოლო VIII კლასში ალგებრის საკონ-ტროლო წერის დროს 27 მოსწავლიდან 2-ზე შეფასდა 16 მოსწავ-ლის ნამუშევარი (მასწ. ი. კავილაძე). 17 მარტს VIII კლასში 32 მოსწავლიდან არცერთმა არ იცოდა გაკვეთილი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო 20 მარტს VII კლასში ისტორიაში (მასწ. მ. გიორგაძე, ა. დევდარიანი). ჯერ კიდევ დაბალია მოსწავ-ლეთა აკადემიური მომზადების დონე, მოსწავლეებში არ არის გა-მომუშავებული დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

მოწმობა-ატესტატების სარეგისტრაციო ჟურნალი არ არის ზონარგაყრილი და დალუქული.

მახარაძის, ბროწეულასა და ფოთის სკოლა-ინტერნატებში ნორმალური პირობები არ არის შექმნილი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისათვის. არც ერთ დასახელებულ სკოლა-ინ-ტერნატში არ არის შესაძლებელი ლაბორატორიული სამუშაოებისა და სადემონსტრაციო ცდების დიდი ნაწილის ჩატარება ფიზიკასა და ქიმიაში. საკმარისი რაოდენობით არ აქვთ ხელსაწყო-იარაღე-ბი, რეაქტივები, ინვენტარი და სხვადასხვა სახის დიდაქტიკური მასალები. ბროწეულას სკოლა-ინტერნატში ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიისათვის მცირე ფართობის ოთახებია გამო-ყოფილი, კაბინეტებში არ აქვთ წყალგაყვანილობა და სხვ. დასა ხელებულ დისციპლინებში მეოთხედური ნიშნები გამოჰყავთ მხო-ლოდ ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე, არ ხდება მოსწავლეთა პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებისა და წერითი ნამუშევრების შეფა-სება; როგორც მიმდინარე აღრიცხვისას, ასევე მეოთხედის ბოლოს დასმული ნიშნები არაობიექტურია. არ აქვთ აუცილებელი ტან-ვარჯიშული იარაღები. ფიზკულტურის გაკვეთილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა ტანვარჯიშს, მუშაობა ძირითადად ბურთის სხვადასხვა სახეობაში თამაშითა და მძლეოსნობაში ვარჯიშით შემოიფარგლება.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ფიზიკის სწავლება ზუგდიდის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში. VI—VII კლასების მოსწავლეები (მასწ. მ. ხარჩილავა) ვერ ერკვევიან საპროგრამო მასალაში. სკო-ლა-ინტერნატის ფიზიკის კაბინეტის აღჭურვილობა ვერ აკმაყოფი-ლებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნილებას. მოსწავ-ლეებს არ აქვთ ცდების ჩატარების საშუალება. ფიზიკაში და ქი-მიაში არაა შექმნილი საჭირო პირობები ფრონტალური ლაბორა-ტორიული სამუშაოების ჩატარებისათვის, ვერ ხერხდება ცდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ნაწილის დემონსტრირება. მომხადების დაბალი დონე გამოავლინა მეექვსეს მათემატიკაში V, VII და VIII კლასების მოსწავლეებმა (მასწ. მასწ. ი. ჭანტურია, ი. ოსიძე). V კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან 2-ზე, 5-ზე, 3-ზე და 9-ზე გაყოფადობის ნიშნებში. ვერ ახერხებენ რიცხვთა დაშლას მარტივ მამრავლებად, ვერ ერკვევიან ორი რიცხვის საერთო გამყოფის პოვნაში; ძალზე სუსტად იციან წილადების შეკვეცა და მათი დაყვანა საერთო მნიშვნელზე, VIII კლასის მოსწავლეები ვერ აყალიბებენ ვერცერთ თეორემას მასწავლებლის დახმარების გარეშე; არ იციან სამკუთხედების მსგავსობის ნიშნები, პითაგორის თეორემა და სხვ.

განათლების სამინისტროს რევიზიის შედეგად, ქ. თბილისის მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში გამოვლინდა მატერიალურ ფასეულობათა დიდი რაოდენობით დანაკლისები და მითვისებები.

არანორმალური პირობებია შექმნილი აღსაზრდელებისათვის ბათუმის საბავშვო სახლში (დირექტორი რ. ვანიძე). მოუგვარებელია აღსაზრდელთა ჩაცმა-დახურვის საქმე. ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის დაცვას. საკმარისი რაოდენობით არ აქვთ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები. მოუწესრიგებელია კვების ბლოკის მუშაობა, აკლიათ ჭურჭელი, უგემურად მზადდება კერძები, მენიუ ერთფეროვანია. არ ექცევა ყურადღება აღსაზრდელთა კულტმასობრივ მომსახურეობას. აღსაზდელებს არ აქვთტელევიზორით სარგებლობის საშუალება. ადგილი აქვს აღსაზრდელების საბავშვო სახლიდან გაქცევის შემთხვევებს.

აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული თელავის საბავშვო სახლში (დირექტორი ნ. გომურაშვილი).

საბავშვო სახლის ნახმარი, ექსპლოატაციაში მყოფი და ახალი, მარაგში მყოფი რბილი ინვენტარი ერთიმეორეშია არეული. გოგონებისათვის არაა მოწყობილი ჰიგიენის ოთახი, კვება არადამაკმაყოფლებელია, მზადდება ერთფეროვანი და უგემური კერძები. კვირა-უქმე დღეებსა და დღესასწაულებზე აღსაზრდელებს არ ეძლევათ განსხვავებული სადილები. რბილი და მაგარი ინვენტარი მოძველებულია, ხმარებისათვის უვარგისია; საძინებელი ოთახები არაა კეთილმოწყობილი. სათბობი მასალის მოუმარაგებლობის შედეგად ზამთრის პერიოდში საბავშვო სახლის შენობა 2 კვირა არ თბებოდა, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა აღსაზრდელთა დიდი

რაოდენობით დაავადების შემთხვევებს. კულტმასობრივი მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. არ ტარდება საუბრები, ლექციები, არ ხდება აღსაზრდელთა დაბადების დღეების აღნიშვნა და სხვ.

სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული აღსაზრდელთა შრომითი აღზრდა.

ზოგ სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლში სუსტად მუშაობენ საშეფო ორგანიზაციები, მხრუნველთა საბჭოები, ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა თვითმომსახურეობას და მათში შრომითი ჩვევების გამომუშავების საქმეს.

რიგი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას; საჭირო დახმარებას ვერ უწევენ მათ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; არ ღებულობენ ზომებს იმ ბავშვების სკოლა-ინტერნატებში და საბავშვო სახლებში მოწყობისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფო მხრუნველობა.

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლა ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულებისათვის და იმ ბავშვების სკოლა ინტერნატებში და საბავშვო სახლებში მოწყობისათვის, რომლებიც სახელმწიფო მხრუნველობას საჭიროებენ, გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი; აამაღლონ სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის მაღალხარისხოვნად ათვისების საქმეში.

2. ფართოდ გაშალონ მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის მზადებისათვის.

3. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) არ დაუშვან სკოლა-ინტერნატებიდან იმ ბავშვების გაშვება, რომლებსაც ოჯახში არ გააჩნიათ აღზრდისათვის სათანადო პირობები;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები, შეისწავლონ აღმზრდელთა მუშაობა და მიაღწიონ აღმზრდელ-მასწავლებლების პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფასა და სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებას;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეს, უზრუნველყონ ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების სრულად მიღება და დანიშნულებისამებრ მიწოდება. ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ სასაწყობო მეურნეობისადმი კონტროლს, მოაგვარონ ანგარიშგება-აღრიცხვის საქმიანობა;

დ) სათანადო სიმაღლეზე დააყენონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება.

4. სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა არსებული სასწავლო სახელოსნოების მოწყობითა და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარებით უზრუნველყონ აღსაზრდელების შრომითი სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

5. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (უფროსი ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით.

6. ორჯონაკიძისა და ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. შ. ჩხიკვაძე და ს. სალაძე) სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ კიცხისა და ახმეტის სკოლა-ინტერნატების მუშაობა; დასახონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

7. თელავის განათლების განყოფილებამ მიმდინარე წლის 15 აპრილამდე განიხილოს თელავის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგები, გაატაროს სათანადო ღონისძიებანი და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

8. ბათუმის საბავშვო სახლის დირექტორი რ. ა. ვანდაჩ რომელმაც ვერ უზრუნველყო საბავშვო სახლისადმი საჭირო ხელმძღვანელობა განთავისუფლებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან.

9. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში ჩატარებული დოკუმენტალური რევიზიის შედეგად გამოვლინებულ მატერიალურ ფასეულობათა დიდი რაოდენობით დანაკლისებისა და მითვისებისათვის, სკოლა-ინტერნატის დირექტორი გ. ბაკურაძე და სხვა მუშაკები მოხსნილი არიან სამუშაოდან და საქმე გადაცემულია საგამომძიებლო ორგანოებზე.

10. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთობლივი

დადგენილება

საკავშირო ალკკ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მოსწავლეთა კოლექტივების მონაწილეობის შედეგებისა და 1969 წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ სპორტის ტექნიკურ სახეებში ჩატარებული რესპუბლიკური შეჯიბრებები მნიშვნელოვანი ღონისძიებები იყო, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა მოსწავლეთა შორის სპორტის ტექნიკური სახეებით დაინტერესების საქმეში.

რადიოსპორტსმენთა მეორე რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ ნათელყო, რომ სპორტის ეს სახეობა ინტერესს იწვევს და უფრო მასობრივი ხდება მოსწავლე ახალგაზრდობაში.

აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, აგრეთვე ორჯონიკიძის, თელავისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების 31 გუნდმა; მათ შორის 13 გუნდი მონაწილეობდა რადიომრავალჭიდში, 10 გუნდი — „ნადირობა მელიებზე“, ხოლო 8 გუნდი—რადიოგრამების სმენით მიღებასა და გასაღებით გადაცემაში.

სახეობების მიხედვით შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ—რადიომრავალჭიდში—39 მოსწავლე; „ნადირობა მელიებზე“—32, ხოლო მიღება-გადაცემაში—39 მოსწავლე, სულ 110 მოსწავლე, რომელთა შორის 23 გოგონა იყო.

ნორჩ რადიოსპორტსმენთა შეჯიბრება ჩატარდა მაღალ სპორ-
ტულ დონეზე, შეჯიბრებაში მრავალი ნიჭიერი მოსწავლე გამო-
ვლინდა, რომელთა შედეგებიც ბევრად აღემატება გასულ წლებში
ჩატარებულ შეჯიბრებათა შედეგებს.

სპორტული ბრძოლის შედეგად საერთო გუნდური პირველი
ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის პირ-
ველმა გუნდმა, მეორე ადგილი—ქ. ბათუმის ნორჩ რადიოსპორტ-
სმენთა გუნდმა, ხოლო მესამე ადგილი—ქ. თბილისის 119-ე სა-
შუალო სკოლის ნორჩ რადიოსპორტსმენთა გუნდმა.

რადიომრავალჭიდის შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა
ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა, მეორე ადგი-
ლი—ქ. ბათუმის გუნდმა, ხოლო მესამე ადგილი—ქ. რუსთავის
ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდმა.

„ნადირობა მელიებზე"—პირველი ადგილი ხვდა ნორჩ ტექნი-
კოსთა ცენტრალური სადგურის გუნდს, მეორე ადგილი—ქ. თბი-
ლისის 119-ე საშუალო სკოლის გუნდს, ხოლო მესამე ადგილი—
ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდს

რადიოგრამების სმენით მიღებასა და გასაღებით გადაცემაში
პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სად-
გურის გუნდმა, მეორე ადგილი—ქ. ბათუმის პირველმა გუნდმა,
ხოლო მე-3 ადგილი—ქ. ბათუმის მეორე გუნდმა.

შეჯიბრების შედეგად გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ცალ-
კეულ მა მოსწავლეებმა, რომელთა უმრავლესობამაც შეასრულა
ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ნორმატივები.

„ნადირობა მელიებზე" შეჯიბრების დროს 12 მოსწავლემ
მიიღო მოზარდთა I და II თანრიგი.

რადიოს მიღებ-გადაცემაში 11 მოსწავლემ მიიღო II და III
სპორტული თანრიგი.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ნორჩმა რადიოსპორტ-
სმენებმა აგრეთვე მსოფლიოს რადიომოყვარულებთან ორმხრივი
კავშირის დამყარების საქმეში. ერთი წლის განმავლობაში მათ
შეძლეს რადიოკავშირის დამყარება 130-ზე მეტ ქვეყანასთან, რომ-
ლებთანაც 10.000-ზე მეტი ორმხრივი რადიოცვლა განახორციელეს
აქედან ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტ-
სმენებს დამყარებული აქვთ 7.500-ზე მეტი ორმხრივი რადიო-
კავშირი.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ნორჩმა რადიო სპორტსმენმა, ქ. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ვლადიმერ სივილგინმა, რომელიც 1968 წლის ნოემბერში მონაწილეობდა ქ. ბაქოში ჩატარებულ ამიერკავკასიის რადიო სპორტსმენთა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში, ამიერკავკასიის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა. მის მიერ დამყარებულია ასოების მიღების სარეკორდო ციფრი—127 ასო ერთ წუთში.

ასევე დიდ წარმატებას მიაღწია მან ქ. ერევანში გამართულ რადიოსპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაში, სადაც იგი სსრ კავშირის მასშტაბით მეორე ადგილზე გამოვიდა.

ნორჩ ავტომოდელისტ-მოსწავლეთა მე-2 რესპუბლიკური შეჯიბრება ჩატარდა თბილისის ლენინის სახ. რაიონის პიონერთა სახლის კორდოდრომზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქების—თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ჭიათურის ნორჩ ავტომოდელისტთა გუნდები 58 მოსწავლის რაოდენობით.

შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა მიერ დამზადებული სხვადასხვა კლასის თვითნაკეთი ავტომოდელები, რომლებსაც საუკეთესო გაფორმებასთან ერთად, ჰქონდათ კარგი სავალი ნაწილი.

ჩატარებული შეჯიბრების შედეგად გამოვლინდნენ საუკეთესო გუნდები და მოსწავლე-ავტომოდელისტები.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს ქ. ბათუმის პიონერთა სახლის ავტომოდელისტებმა, მეორე—ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის პიონერთა სახლის გუნდმა, ხოლო მესამე—ქ. ბათუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდმა. ავტომოდელისტთა 7 სახეობის მოდელთა მიხედვით გამოვლინდნენ 1968 წლის ჩემპიონები და შეჯიბრების პრიზიორები, რომლებმაც ახალი რეკორდები დაამყარეს.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს 1,5 და 2,5 კუბ. სანტიმეტრის მოცულობის სამარული კლასის მოდელებში ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე იური პოპოვმა და ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ზაურ ბედიამ, ასევე აერომობილის კლასის მოდელებში—ქ. თბილისის 114-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ნიკოლოზ ირემაშვილმა.

1968 წლის ზაფხულში ჩატარებულ ნორჩ გემთმოდელისტთა მეხუთე რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების ათი გუნდი 80 მოსწავლის შემადგენლობით.

გემთმოდელისტთა შეჯიბრებაზე წარმოდგენილ მოდელთა უმრავლესობა აკმაყოფილებდა შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებულ პირობებს, წარმოდგენილი მოდელები გამოირჩეოდნენ ორიგინალობით, გარეგანი გაფორმებითა და სავალი ნაწილის თავისებური კონსტრუქციებით. მოდელების გამოცდამ ცხადჰყვეს პიონერ-მოსწავლეთა დამაკმაყოფილებელი მომზადება საზღვაო და სამდინარო გემთა მოდელების გაანგარიშების საქმეში.

შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებულ სხვა მოდელებთან ერთად წარმოდგენილი იყო 3 ექსპერიმენტული მოდელი. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრების დროს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები იყო, ცალკეულმა მოდელებმა სვლის კარგი შედეგები უჩვენეს და პირველი ადგილები დაიმსახურეს. ასეთი მოდელების ავტორები იყვნენ ჩერქეზიშვილი ალექსი—ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე (ხრახნიანი მოდელით); გავა ვლადიმერი—ქ. თბილისის 64-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე (გლისერის მოდელით); იშჩენკო ვალერი—ქ. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე (დამხმარე გემის მოდელით); მარგოშვილი ნოდარი—ახმეტის რაიონის რუისის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე (წყალქვეშა ნავის მოდელით) და სხვა.

გუნდურ ჩათვლაში საერთო პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა, მეორეზე გამოვიდა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუნდი, ხოლო მესამეზე—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებაზე მოსწავლე ალექსანდრე ჩერქეზიშვილმა შიდაწვის ძრავიანი მოდელით, რომლის ძრავის მოცულობა 2,5 კუბ. სანტიმეტრი იყო, წყლის ხრახნიან მოდელებს შორის დაამყარა ახალი სამარულო რეკორდი (მოდელმა განავითარა სიჩქარე 89 კილომეტრი, არსებული რეკორდისა 42 კილომეტრი საათში). ასევე ახალი რეკორდი დაამყარა საჰაერო ხრახნიანი მოდელით ვლადიმერ გავამ, რომლის სისწრაფე აღემატება 138 კილომეტრს საათში, ეს კი მნიშვნელოვანი წარმატებაა, რადგან აღნიშნული რეკორდი მხოლოდ 9 კი-

ლომეტრით ჩამორჩება სსრ კავშირის რეკორდს უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის.

ამ სახის შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდი 9 მოსწავლის შემადგენლობით შუა აზიის რესპუბლიკათაშორისო გემთმოდელისტთა შეჯიბრებაში, რომელიც ქ. ფრუნზეში ჩატარდა.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და საპრიზო ადგილი დაიმსახურეს თბილისის 22-ე მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ირაკლი კაციაშვილმა, რომელმაც იალქნიანი მოდელით დაიკავა პირველი ადგილი; ქ. თბილისის 45-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე იგორ კრანცმა სადარაჯო ხომალდების მოდელებს შორის დაიკავა პირველი ადგილი, ასევე პირველი ადგილი დაიკავა ჩქაროსნული გლისერების მოდელებში ქ. თბილისის 69-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე სერგო ალექსეევმა. მოპოვებულ წარმატებებთან ერთად მათ შეასრულეს სპორტული თანრიგის ნორმებიც.

ყოველწლიურად სულ უფრო მასობრივი ხდება ნორჩ ავიამოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება, რომლებშიც რეგულარულად მონაწილეობენ ამ სახის წრეებში ჩაბმული მოსწავლეები.

ნორჩ ავიამოდელისტთა პირად-გუნდურ XXXVII რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების 17 გუნდი 182 მოსწავლით.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ავიამოდელისტების ცოდნის დონე გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად ამაღლდა. შეჯიბრების დროს გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი ავიამოდელისტი, რომელთა მოდელებმაც მსაჯთა კოლეგიის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მოსწავლეთა მიერ შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იყო ესთეტიკური გემოვნებითა და კარგი საფრენოსნო მონაცემების მქონე მოდელები. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 2—3 წლის მანძილზე საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა (მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის, საჩხერის პიონერთა სახლის, ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა გუნდებმა).

კარგი ტექნიკური მომზადება და სპორტული შედეგები აჩვენეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა გუნდებმა.

ნორჩ ავიამოდელისტთა XXXVII რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გამარჯვებულ მოსწავლეთაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა (8 მოსწავლის შემადგენლობით) მონაწილეობა მიიღო ნორჩ ავიამოდელისტთა მე-3 საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც ქ. ნოვოჩერკასკში ჩატარდა. გუნდმა შეჯიბრებაზე საერთო VII ადგილი დაიკავა, გასულ წელთან შედარებით (X) ნორჩმა ავიამოდელისტებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს.

ნორჩ ავიამოდელისტთა საკავშირო შეჯიბრებაზე ქ. თბილისის 69-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ სერგო ალექსეევმა თვითმფრინავის ასლ მოდელით მე-3 ადგილი დაიკავა, ქ. თბილისის მე-9 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ალექსანდრე როდაკმა ტაიმერიან მოდელებში მე-4, ხოლო თბილისის 63-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ალექსანდრე კარპოვმა პლანერის მოდელით მე-6 საპრიზო ადგილი მოიპოვა.

1968 წლის ზაფხულში გამართულ ნორჩ რაკეტ-მოდელისტთა პირველ საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც ქ. ჩერნიგოვში ჩატარდა, საჩხერის პიონერთა სახლის ნორჩი ავიამოდელისტებისაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა (ხელმძღვანელი ნ. გელბახიანი), რომელიც პირველად ღებულობდა მონაწილეობას ასეთი სახის დიდ სპორტულ შეჯიბრებაში, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

საყურადღებოა გუნდის ზოგიერთი წევრის წარმატება, ასე მაგალითად, საჩხერის 1-ლი საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ვაჟა ყიფიანი ერთსაფეხურიანი რაკეტების შეჯიბრებაში VI ადგილზე გამოვიდა. ასევე, ორსაფეხურიანი რაკეტების შეჯიბრებაში საპრიზო ადგილზე გამოვიდა საჩხერის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ბეჟან სამხარაძე.

სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებამ და საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობამ დადებით მხარეებთან ერთად მრავალი ნაკლი გამოავლინა. განათლების განყოფილებათა უმეტესი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეების შესაქმნელად, ხოლო იქ, სადაც ასეთი წრეები შექმნილია, არ უქმნიან პირობებს ნორმალური მუშაობისათვის.

უკვე კარგა ხანია, რაც არ მონაწილეობენ სპორტის ტექნიკურ სახეებში აფხაზეთის ასსრ სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები. ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება აგრეთვე ზესტაფონის, ტყიბულის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ცხაკაიას, კასპისა

და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონის სკოლებისა და განყოფილების განყოფილებათა მუშაობაში, რომლებიც ჯეროვან ზომებს არ ღებულობენ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეების ჩამოსაყალიბებლად. მათ მიერ დღემდე გამოყენებული არ არის ადგილობრივი ძალები და აგრეთვე სპორტის ტექნიკურ სახეებში მომზადებული წრეების ხელმძღვანელები, რომლებსაც ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე, სპეციალური სემინარ-პრაქტიკუმი ჩაუტარდათ.

რესპუბლიკის რიგ სკოლისგარეშე დაწესებულებებში ჩამოყალიბებული ტექნიკური წრეების მუშაობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს (ახალქალაქის, ახალციხის და სხვა რაიონების პიონერთა სახლები). გარკვეული ნაკლი ასეთი წრეების მუშაობაში შეინიშნება აგრეთვე იმის გამოც, რომ ნორჩ ტექნიკოსთა წრეებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების უმრავლესობა სასწავლო მასალების დიდ ნაკლებობას განიცდის.

სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარებას ხელს უშლის აგრეთვე მსაჯთა რაოდენობის სიმცირე.

სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა უმრავლესობას არ გააჩნიათ მოდელების გამოსაცდელი კორდოდრომები და აქვატორიუმები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ადგენენ:

1. სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში საპრიზო ადგილების დაკავებისათვის დაჯილდოვდნენ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივებ :

პირველი ხარისხის დიპლომით:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტული ლაბორატორია.

3. ქ. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავტომოდელისტთა წრე.

4. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემთმოდელისტთა წრე.

5. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიამოდელისტთა ლაბორატორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ხარისხის დიპლომით:

1. აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის რადიოსპორტული წრე.

2. ბორის ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გემთმოდელისტთა წრე.

3. ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავტომოდელისტთა წრე.

4. ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრე.

მესამე ხარისხის დიპლომით:

1. ქ. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის რადიოსპორტსმენთა წრე.

2. აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავტომოდელისტთა წრე.

3. ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრე.

4. ბორის ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა წრე.

II. სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით წრეები და ცალკეული კოლექტივები:

1. საჩხერის პიონერთა სახლის რაკეტმოდელისტთა წრე.

2. ქ. ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრე.

3. ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრე.

4. ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავიამოდელისტთა წრე.

5. ხაშურის მე-2 საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრე.

6. სამტრედიის რაიონის ილორის საშუალო სკოლის რაკეტმოდელისტთა წრე.

7. ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის რადიოსპორტული წრე.

III. სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებების ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაკები:

1. ბერძენიშვილი უშანგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტული ლაბორატორიის გამგე

2. ასატუროვი ვლადიმერ —ქ. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის დირექტორი

3. შერვაშიძე კარლო—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის დირექტორი

4. ვერხოვსკი სერგო—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის რადიოსპორტული წრის ხელმძღვანელი

5. ჩილიჯიანი სურენ—ქ. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

6. ლატარია თენგიზ—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემთმოდელისტთა ლაბორატორიის გამგე

7. ვარაზი გიორგი—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გემთმოდელისტთა წრეების ხელმძღვანელი

8. ზურაბიშვილი ზურაბ—ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავტომოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

9. გუგუნავა ლამარა—ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

10. გვენცაძე ვასილ—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი

11. სტაროსტინი ვიტალი—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრეების ხელმძღვანელი

12. პაპაზიანი ვარტკეს—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ავტომოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

13. ტოკარევი ივანე—ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა ლაბორატორიის გამგე

14. პავლიდი ლეონიდე—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

15. გელბახიანი ნოდარი—საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის რაკეტმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

16. ლაშხი ციალა—საჩხერის პითნერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

17. წილოსანი ვალტერ—ქ. ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

18. დავიდოვი სიმონ—ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი

19. ბალაკაშვილი მაჰმუდ—ახმეტის რაიონის დუისის საშუალო სკოლის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

20. გამგონიძე გიორგი—ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი

21. ბლიაძე შოთა—ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის და მე-2 საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

22. კაკიაშვილი დავით—ხაშურის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი

23. შახრამანოვი იაკობ—ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის დირექტორი

24. კარაპეტიანი რონდოზი—ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის რადიოწრეების ხელმძღვანელი

25. გალატი ვიქტორ—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის რადიოსპორტული წრეების ხელმძღვანელი

26. გევენოვი ლეონიდე—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის რადიოკლუბის მუშაკი—რადიოსპორტული შეჯიბრების მდივანი

27. ჩიხლაძე შოთა—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის რადიო კლუბის მუშაკი—რადიოსპორტული შეჯიბრების მსაჯი

28. კაპინსკი ანატოლი—ავიამოდელისტთა შეჯიბრების უფროსი მსაჯი

29. ანდროსენკო იური—ავიამოდელისტთა შეჯიბრების მსაჯი

30. ოვიანი ალექსანდრე — ავიამოდელისტთა შეჯიბრების მსაჯი

31. სალნიკოვი ანატოლ—დოსაავის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის ინსტრუქტორი—გემთმოდელისტთა შეჯიბრების მდივანი

32. ჯაფარიძე შალვა—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მძღოლი

33. არენშილდი არტურ—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი—შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

IV. პირველი პრემიით (10 მან. ღირებული ფასიანი საჩუქრითა და I ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდნენ მოსწავლეები:

1. მარგოშვილი ნოდარი—ახმეტის რაიონის დუისის საშუალო სკოლა, VI კლასი

2. ჩერქეზიშვილი ალექსი—ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, VIII კლასი

3. იაჩენკო ვალერი—ქ. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი

4. გავა ვლადიმერ—ქ. თბილისის 64-ე საშუალო სკოლა, X კლასი

5. ლომთაძე გიორგი—ქ. ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლა, IX კლასი

6. ალექსეევი სერგო—ქ. თბილისის 69-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

7. ჩუპრინი ბორის—ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლა, IX კლასი

8. ბონდარენკო ალექსი—ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა, VI კლასი

9. აბოვიანი ალექსანდრე—ქ. თბილისის 110-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

10. სამხარაძე ბეჟან—საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი

11. კიშნარევი სავა—ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა, VII კლასი

12. კასაბიან მამიკონ—ქ. ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა, IX კლასი

13. შეიკინი ანატოლ—ქ. რუსთავის მე-12 საშუალო სკოლა, X კლასი

14. პოპოვი იური—ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, V კლასი

15. კაზარიანი ალბერტ—ქ. თბილისის 34-ე საშუალო სკოლა, X კლასი

16. ბედია ზაური—ქ. თბილისის 132-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

17. კაზარიანი აკოფ—ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, X კლასი

18. ნოვიკოვი პავლე—ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, VI კლასი

19. ირემაშვილი ნიკოლოზ—ქ. თბილისის 114-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

20. მარდალეიშვილი თემურ—ქ. ბათუმის 23-ე საშუალო სკოლა, X კლასი

21. ვარსიმაშვილი რეზო—ქ. თბილისისის 29-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

22. ლიაშჩუკ გალინა—ქ. თბილისის მე-9 საშუალო სკოლა, VII კლასი

23. არუთინოვი მიხეილ—ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

24. სივილგინი ვლადიმერ—ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, VIII კლასი

25. შმელევა სვეტლანა—ქ. თბილისის 1-ლი გახანგრძლივებული სკოლა, VIII კლასი

მეორე პრემიით (5 მან. ღირებული ფასიანი საჩუქრითა და II ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდნენ მოსწავლეები:

1. ყანჩაშვილი მიხეილ—ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

2. ბუჩკიგრიკ ანატოლ—ქ. თბილისის მე-13 საშუალო სკოლა, X კლასი

3. მანგასაროვა ზაირა—ქ. თბილისის 111-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

4. ინჩინი სერგო—ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

5. სვიშჩენკო ანადია—ქ. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი

6. სოხაშვილი სპარტაკ—ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლა, VIII კლასი

7. ოვაკიმიან რობერტ—ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, VII კლასი

8. ნიკოლაიშვილი გაიოზ—ქ. თბილისის მე-17 საშუალო სკოლა, IX კლასი

9. შანოიანი ედუარდ—ქ. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, V კლასი

10. პოწოსინ ლეო—ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, V კლასი

11. კარპოვი ალექსანდრე—ქ. თბილისის 63-ე საშუალო სკოლა, X კლასი

12. ბოგომოლოვი ლეონიდე—ქ. თბილისის 22-ე საშუალო ლა, X კლასი

13. როდაკ ალექსანდრე—ქ. თბილისის მე-3 საშუალო სკოლა, IX კლასი

14. მილორავა ტარიელ — ქ. თბილისის 133-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

15. ალექსეევი სერგო—ქ. თბილისის 69-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

16. მალოლეტკინ თედორე—თბილისის მე-12 საშუალო სკოლა, X კლასი

17. ლაბარტყავა ვლადიმერ—ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლა, X კლასი

18. ტაბუევი გიორგი—ქ. ცხინვალის სკოლა-ინტერნატი, IX კლასი

19. შეიკინი ანატოლ—ქ. რუსთავის მე-12 საშუალო სკოლა, X კლასი

20. კაციაშვილი ირაკლი—ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა, X კლასი

21. სკრიაბინი გრიგოლ—ქ. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი

22. ლუცენკო ალექსანდრე—ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა, IV კლასი

მესამე პრემიით (III ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდნენ მოსწავლეები:

1. კემულარია ვახტანგ—ქ. ფოთის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

2. ერემეევი ალექსანდრე — ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

3. მენაბდიშვილი გიორგი—ქ. თბილისის 64-ე საშუალო სკოლა, X კლასი

4. ა) კობახიძე თემურ—ქ. ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) გლუხარევი ვლადიმერ—ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა, VIII კლასი

5. კალანდაძე დავით—საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი

6. ინჩენკო ვალერი—ქ. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი

7. ა) ტაბიძე ნოდარ—ხაშურის მე-2 საშუალო სკოლა, VI კლასი

ბ) ყიფიანი დიმიტრი—საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა, V კლასი

8 ხაბიბულინი იური—ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

9. სკრიაბინი გრიგოლ—ქ. რუსთავის საშუალო სკოლა, IX კლასი

10. ბონდარევი იური—ქ. თბილისის 49-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

11. ლეჟავა ვახტანგ—ქ. ბაუთმის 1-ლი საშუალო სკოლა, VI კლასი

12. ხიზანიშვილი თემურ—ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლა, VII კლასი

13. ქევლიშვილი გია—ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა, VIII კლასი

14. ელიაშვილი დავით—ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

15. გობეჯიშვილი ელზა—ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

16. ლეშკაშელი ნუგზარ—ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

17. ინჩინი სერგო—ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

18. შიტიკოვა თამარ—ქ. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

V. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1969 წელს ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეებში

შეჯიბრებები მიეძღვნას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის თავს და ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა III რესპუბლიკური შეჯიბრება —1969 წლის 10-დან 14 მაისამდე;

ბ) ნორჩ ავტომოდელისტთა III რესპუბლიკური შეჯიბრება—1969 წლის 25-დან 27 ივნისამდე;

გ) ნორჩ გემთმოდელისტთა VI რესპუბლიკური შეჯიბრება—1969 წლის 26-დან 30 ივნისამდე;

დ) ნორჩ ავიამოდელისტთა XXXVIII რესპუბლიკური შეჯიბრება—1969 წლის 6-დან 10 ივნისამდე.

VI. სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების მომზადებასა და მათი მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბეროზაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

2. ნიკოლაიშვილი თამაზ—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

3. პოპოვა როზა—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტისა და თავდაცვითი—მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე;

4. ნინუა ჯემალ—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილე;

5. ბაცელაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი;

6. ორახელაშვილი ალექსანდრე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსი;

7. დარსალია ქეთევან—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

8. შევარდნაძე ალექსანდრე—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის საზღვაო მომზადების უფროსი;

9. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი;

10. არჩვაძე პავლე—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის ავიასპორტკლუბის უფროსი;

11. ლავრენტიევი ანდრია—დოსაავის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის უფროსის მოადგილე;

12. კიკნაძე გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი.

VII. ნორჩ რადიოსპორტსმენთა III, ავტომოდელისტთა III, გემთმოდელისტთა VI და ნორჩ ავიამოდელისტთა XXXVIII რესპუბლიკური შეჯიბრებების დებულებები დამტკიცდეს.

VIII. სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს სპორტის ტექნიკური სახეების წრეების მუშაობას, პერიოდულად შეამოწმოს

ადგილებზე შეჯიბრებებისათვის მზადების მდგომარეობა დაარეგულირ. მოუჩინოს წრეებს საჭირო დახმარება.

IX. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს (დირექტორი ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) 1969 წლის აპრილში ჩაატაროს ავიამოდელისტთა, გემთმოდელისტთა, ავტომოდელისტთა და რადიოსპორტსმენთა შეჯიბრებების მსაჯების მოსამზადებელი 8-დღიანი სემინარ-პრაქტიკუმი. სემინარ-პრაქტიკუმის მსმენელთა რაოდენობა განისაზღვროს 50 კაცით.

ბ) მიავლინოს სპეციალისტები რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში შეჯიბრების მზადების პერიოდში სკოლებისათვის დახმარების გასაწევად, ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ახლადჩამოყალიბებულ ავიამოდელისტთა, ავტომოდელისტთა, გემთმოდელისტთა და რადიოსპორტულ წრეებს მეცადინეობის სწორად წარმართვაში;

გ) დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები უზრუნველჰყოს სპორტის ტექნიკურ სახეობებში ჩასატარებელ შეჯიბრებათა დებულებებით;

დ) ა/წლის 15 აპრილამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების სამმართველოს ტექნიკური წრეების მუშაობისა და სპორტის ტექნიკური სახეობების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებისა და ხელსაწყოების მოთხოვნა;

ე) პერიოდულად უზრუნველჰყოს სპორტის ტექნიკურ სახეობებში მოქმედ მოდელთა აღწერილობებისა და ნახაზების მომზადება, მასობრივი ტირაჟით ბეჭდვა და ადგილებზე დაგზავნა.

X. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებს და ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს გააცნონ სპორტის ტექნიკურ სახეებში ჩატარებული რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები, 1969—70 სასწავლო წელს ჩასატარებელ ღონისძიებებათა პირობები და უზრუნველყონ შეჯიბრებებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა;

ბ) შეჯიბრებების ჩატარებისას ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული პროგრამებითა და დებულებებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დებულების მიხედვით შექმნან ხელშემწყობი კომიტეტები და ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები;

დ) მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში, სადაც დღემდე შექმნილი არ არის სპორტის ტექნიკური წრეები, ჩამოაყალიბონ ასეთი და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ ნაყოფიერ მუშაობას.

XI. ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებისა და პიონერთა სახლების დირექტორებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების შესაქმნელად, წრეების მუშაობისათვის შექმნან ნორმალური პირობები და მათი საქმიანობა დაუკავშირონ მომავალი შეჯიბრებების ამოცანებს.

XII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1969 წლის ბიუჯეტში სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისა და მოქმედ მოდელთა აღწერილობების შედგენისა და დაბეჭდვისათვის საჭირო თანხა;

ბ) 1969 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტული ლაბორატორიის გამგის ერთი საშტატო ერთეული.

XIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სასმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) სპორტის ტექნიკური სახეების შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით გამოუყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 880 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი;

XIV. გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ნორჩი ლენინელის", „სახალხო განათლების", ჟურნალების „სკოლა და ცხოვრების" და „პიონერის" რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეობრივი მუშაობისა და შეჯიბრებებისათვის მზადების საკითხები.

XV. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1969 წლიდან სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების ჩატარება გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდარში.

XVI. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებებმა (ამხ. ა. ორახელაშვილი, რ. პოპოვა) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ შეჯიბრების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტს სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1969 წლის 4 აპრილის დადგენილება.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. მეტრეველი**	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Утверждаю
Министр просвещения ГССР
Т. Лашкарашвили
31 марта 1969 года
№ 9/293

Указания

о проведении экзаменов в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1968—1969 учебном году

1. Учебные занятия в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1968—69 учебном году заканчиваются 29 апреля.

2. Выпускные экзамены в восьмых классах проводятся с 6 по 14 мая включительно.

3. Экзамены на аттестат о среднем образовании проводятся с 5 по 24 мая включительно.

4. Письменные экзамены в восьмом классе проводятся: по русскому языку (изложение)—6 мая, по алгебре с арифметикой —10 мая.

5. Письменный экзамен в одиннадцатом классе по литературе (сочинение) проводится 5 мая.

6. Школы, находящиеся на территории Грузинской ССР, текстами для проведения письменных экзаменов будут обеспечены Политическим Управлением Краснознаменного Закавказского военного округа.

7. Общеобразовательным школам при Домах офицеров и офицерских клубах разрешено производить прием экзаменов в порядке экстерната из числа военнослужащих.

8. По всем вопросам подготовки и проведения экзаменов школы должны руководствоваться инструкцией о проведении экзаменов за курс восьмилетней и средней школы Министерства просвещения РСФСР (см. Сборник приказов и инструкций Министерства просвещения РСФСР за 1969 год)

9. Учащимся общеобразовательных школ при Домах офицеров и офицерских клубах на период экзаменов предоставляется отпуск с сохранением зарплаты: 8 классов—8 рабочих дней; 11 классов - 20 рабочих дней.

10. В целях лучшей подготовки и проведения экзаменов в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах, для оказания необходимой помощи и обеспечения надлежащего контроля за точным соблюдением инструкции Министерства просвещения РСФСР, городским и районным отделам просвещения предлагается провести следующие мероприятия:

а) провести совещание с директорами вышеуказанных школ по вопросам экзаменов;

б) в соответствии с инструкцией в начале апреля т. г. утвердить состав экзаменационных комиссий для проведения экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах;

в) осуществлять систематический контроль за организацией и проведением экзаменов и в случае обнаружения недостатков, принимать совместно с политорганами частей необходимые меры к их устранению;

г) своевременно обеспечить общеобразовательные школы при Домах офицеров и офицерских клубах свидетельствами о восьмилетнем образовании и аттестатами о среднем образовании;

д) результаты экзаменов и итоги учебного года в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах кратко осветить в годовом отчете Министерства прос-

вещения АССР, городских и районных отделов просвещения о работе вечерних и заочных школ на 1968—1969 учебный год.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 28 марта 1969 года.

Начальник Управления
вечерних и заочных школ **Р. Канделаки**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1969 წლის 26 მარტის დადგენილებით

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქ. თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის დებულება

I. მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქ. თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატი არის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო-საამღზრდელო დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავს მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვებს შეუქმნას ყველა პირობა, ამ მონაცემთა თანმიმდევრული განვითარებისათვის.

2. სკოლა-ინტერნატში უნდა იყოს შექმნილი ხელსაყრელი პირობები მოსწავლეთათვის ყოველმხრივი განათლების, ფიზიკური და ესთეტიკური განვითარებისა და მათში მაღალი მორალური თვისებებისა და შრომითი ჩვევების აღზრდისათვის.

3. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად სკოლა-ინტერნატი თავის სასწავლო სააღზრდელო საქმიანობაში თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მოთხოვნას ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შესახებ.

II. ძირითადი დებულებანი

4. სკოლა-ინტერნატი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში.

5 სკოლა-ინტერნატში სწავლება თერთმეტწლიანია—იგი შედგება I—XI კლასებისაგან, ამასთან ერთად, დასაშვებია შეიქმნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამზადებელი კლასები, კლასის შემადგენლობა 20—25 მოსწავლით განისაზღვრება.

6. სკოლა-ინტერნატს აქვს სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები, კვების ბლოკი, სპორტული მოედანი, ღია და დახურული საკონცერტო დარბაზები და მიწის ნაკვეთი.

სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსს აქვს: სასწავლო ოთახები, სასწავლო კაბინეტები (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, საგუნდო მუშაობის, ქორეოგრაფიული მუშაობის, სახვითი ხელოვნების, ხაზვისა და სხვ.), ბიბლიოთეკა-სამკითხველო დარბაზი, რადიოკვანძი, ფონოტეკა, ფოტო-ლაბორატორია, სამასწავლებლო კაბინეტები, დირექტორის, დირექტორის მოადგილის სასწავლო-საალმზრდელო დარგში, მოადგილის მუსიკალური აღზრდის დარგში, უფროსი აღმზრდელისა და ექიმისათვის მოსწავლეთა ორგანიზაციების ოთახი, სარეკრეაციო ფართობი, სადურგლო, საზეინკლო, ხალხური ხემიანი და კლავიშიანი საკრავების სახელოსნოები.

სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსს აქვს: საძინებელი ოთახები, დასვენების ოთახები, სასტუმრო (აღსაზრდელების შესახვედრად მშობლებთან), უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელებისა და მორიგე ტექნიკური პერსონალის, საკუჭნაო, თეთრეულის შესანახი, პირსაბანი, ჰიგიენის, სააბაზანო-საშხაპო ოთახები და სხვ.

მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნების გარდა მოეწყობა მოედანი მასობრივი თამაშობებისათვის საჭირო მოწყობილობით.

7. სკოლა-ინტერნატთან იქმნება მხატვრული—მეთოდური საბჭო, რომლის ფუნქციებს განსაზღვრავს და შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

8. ბავშვები სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან დირექტორის ბრძანებით მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილით, სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე.

9. სკოლა-ინტერნატში მუდმივად მცხოვრებ მოსწავლეებთან ერთად შეიძლება სწავლობდნენ მომსვლელი ბავშვებიც, რომლებიც ასევე ითვლებიან სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებად.

10. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა მშობლები მოვალენი არიან დაეხმარონ პედაგოგებს საალმზრდელო მუშაობაში.

სკოლა-ინტერნატის დირექტორის ნებართვითა და მშობლების ან მათი შემცვლელი პირების თხოვნით მოსწავლეები შინ გაიშვებიან კვირა და უქმე დღეებში.

11. ორივე სქესის ბავშვების აღზრდასა და სწავლებას სკოლა-ინტერნატი ახორციელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის მოცულობით ყველა საგანში, ხოლო მუსიკალურ საგნებში განსაკუთრებული პროგრამით.

12. სკოლა-ინტერნატში სწავლება მიმდინარეობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმითა და პროგრამებით.

13. სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ითვალისწინებს, საგნების სწავლებასთან ერთად, მოსწავლეთა მრავალმხრივ შრომით საქმიანობას თვითმომსახურებისა და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის სახით. შრომის პროცესში მტკიცედ უნდა იყოს დაცული ბავშვთა ასაკობრივი შესაძლებლობანი და თავისებურებანი.

14. სკოლა-ინტერნატის სასწავლო მუშაობაში გამოყენებული იქნება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულსა და მტკიცე შეთვისებას, როგორც საგნობრივი, ასევე პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში; წრეობრივ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, დამოუკიდებელი შრომითი ჩვევებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებას.

15. სკოლა-ინტერნატში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია, რაციონალური კვება, მოსწავლეებში ჰიგიენური ჩვევების დანერგვა, დილის ვარჯიშები (წყლის პროცედურები)—აღსაზრდელთა ორგანიზმის სისტემატური გაკაჟება, მეცადინეობისა და კლასგარეშე მუშაობის პროცესში ტანვარჯიშული ილეთებისა და სპორტის სხვადასხვა სახეში მეცადინეობა მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, ჯომართამაშობათა ჩატარება და შეჯიბრების მოწყობა, გასეირნებები და ტურისტული ლაშქრობები, შრომითი საქმიანობა სუფთა ჰაერზე და ა. შ.

16. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე და აგრეთვე მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობით ხელოვნების სხვადასხვა სახეობის წრეებში.

17. სკოლა-ინტერნატში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალური ნიჭისა და უნარის გამოვლინება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებას, როგორც სასწავლო მუშაობის, ისე სხვადასხვაგვარი კლასგარეშე მუშაობის პროცესში.

18. სკოლა-ინტერნატის დირექცია ადგენს აღსაზრდელთათვის შინაგანაწესსა და დღის რეჟიმს, რომლითაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის, შრომისა და დასვენების სწორ შეხამებას.

19. სკოლა-ინტერნატში გამოყენებული იქნება მოსწავლეთა წახალისებისა და აუცილებელ შემთხვევაში დასჯის ზომები, დადგენილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

20. მეცადინეობა სკოლა-ინტერნატში იწყება და მთავრდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

21. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგები დადგენილია საერთო წესით: არდადეგების დროს მოსწავლეთათვის, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები ან რომელთაც არდადეგების დროს არ შეუძლიათ მშობლებთან წასვლა, სკოლა-ინტერნატი აწყობს დასვენებას პიონერულ, კომკავშირულ, ახალგაზრდულ, ტურისტულ და სხვა ბანაკებში.

22. სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულებს ეძლევათ საშუალო სკოლის ატესტატი, აგრეთვე მუსიკალური განათლების სპეციალური მოწმობა. კურსდამთავრებულებს, რომელთაც სურთ განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში—ღებულობენ საერთო წესით.

სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები შეადგენენ ერთიან კოლექტივს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სკოლა-ინტერნატის მთელ საქმიანობაში.

საზოგადოებრივ-სასარგებლო, ფიზკულტურული, კულტურულ-მასობრივი და წრეობრივი მუშაობის სხვადასხვა სახეობებში კოლექტივის მონაწილეობა ემყარება მოსწავლეთა ინიციატივის, თვითშემოქმედებისა და სოციალისტური შეჯიბრების მეთოდის ფართოდ გამოყენებას.

სკოლა-ინტერნატში შემოქმედებითი კოლექტივები იქმნება კლასების, აგრეთვე ოთახში ერთად ცხოვრების, წრეობრივი და მასობრივი მუშაობის, სპორტში მონაწილეობისა და სხვა პრინციპებით.

23. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კოლექტივში წამყვან როლს ასრულებენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის კომკავშირული ორგანიზაცია იქმნება მუშაობს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წესდების საფუძველზე.

სკოლა-ინტერნატში იქმნება სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

24. სკოლა-ინტერნატი საქმიან კავშირს ამყარებს მოძმე რესპუბლიკების ანალოგიურ სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებებთან, აწარმოებს მოსწავლეთა შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლას, მასწავლებელთა მივლინებებს გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ.

25. წლის ბოლოს აკადემიური მოსწრების დაჯამების შედეგად, ის მოსწავლეები, რომლებიც სპეციალურ საგნებში სათანადო ცოდნას ვერ გამოამჟღავნებენ უბრუნდებიან თავიანთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს.

26. სკოლა-ინტერნატი თავისი სპეციფიკის გამო წარმოადგენს ესთეტიკური ადზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ბაზას, სადაც ჩატარებული იქნება საექსპერიმენტო, მასწავლებელთა გადასამზადებელი და სხვა სახის მუშაობა.

III. სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაცია, პედაგოგიური პერსონალი და სხვა მუშაკები

27. სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შტატები და ხელფასების განაკვეთები წესდება ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

28. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ინიშნება საუკეთესო პედაგოგთაგან, რომელსაც გააჩნია ორგანიზატორული უნარი, უმაღლესი განათლება და ხელმძღვანელ-პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლები 5 წლისა.

დირექტორი პასუხს აგებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის და პრაქტიკული საქმიანობისათვის აღსაზრდელთა მომზადების სწორად დაყენებაზე, აღსაზრდელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და სკოლა-ინტერნატის სამეურნეო მდგომარეობაზე.

დირექტორი, ემყარება რა სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მზრუნველთა საბჭოსთან შეთანხმებით ანხორციელებს სკოლა-ინტერნატის მთელი საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობას ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე; დირექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის განკარგულება სავალდებულოა სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკისათვის.

29. დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ინიშნება იმ პირთაგან, რომელსაც აქვს პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა, აგრეთვე რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ორგანიზატორმა და მეთოდისტმა.

დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ხელმძღვანელობს სკოლა-ინტერნატის სასწავლო და მეთოდურ მუშაობას, ამ მუშაობის დაყენებაზე იგი პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის დირექტორის წინაშე.

30. სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს საალმზრდელო მუშაობის დარგში უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა. იგი პასუხს აგებს ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაზე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაზე, დღის რეჟიმისა და შინაგანაწესის დაცვაზე, ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე; დირექტორის მოადგილე საალმზრდელო მუშაობის დარგში პასუხს აგებს დირექტორის წინაშე საალმზრდელო მუშაობაზე.

31. დირექტორის მოადგილე მუსიკალური აღზრდის დარგში ინიშნება იმ პირთაგან, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ორგანიზატორმა და მეთოდისტმა.

დირექტორის მოადგილე მუსიკალური აღზრდის დარგში ხელმძღვანელობს მუსიკალური საგნების სწავლებას და ამ დარგში მეთოდურ მუშაობას; ამ მუშაობის სწორად დაყენებაზე პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის დირექტორის წინაშე.

32. სკოლა-ინტერნატის მასწავლებლები და აღმზრდელები შეირჩევიან საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული თავის საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, იციან ფსიქოლოგია, ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი, შეუძლიათ ბავშვისადმი სიყვარული და ყურადღება შეახამონ გონივრულ მომთხოვნელობასთან და რომელთაც უნარი აქვთ პირადი მაგალითით დადებითი გავლენა იქონიონ აღსაზრდელებზე.

33. სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება (გამონაკლისის დაშვება შეიძლება სპეციალური

საგნების პედაგოგების მიმართ), მასწავლებელი პასუხს აგებს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხზე, იმ საგნების სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესრულებაზე, რომელთაც იგი ასწავლის, და მასზე დაკისრებულ კლასგარეშე აღმზრდელობით მუშაობაზე.

34. აღმზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, აღმზრდელები შეირჩევიან იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს უხელმძღვანელოს კლასგარეშე მუშაობის რომელიმე სახეობას.

აღმზრდელი ატარებს აღმზრდელობით მუშაობას ჯგუფში და ხელმძღვანელობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას გაკვეთილების მზადების პროცესში, აღსაზრდელთა აქტიური მონაწილეობით. აღმზრდელი აწყობს კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა ღონისძიებას, პასუხს აგებს დადგენილი წესისა და რეჟიმის დაცვაზე, პასუხისმგებელია ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და იმ მატერიალურ ფასეულობათა და მოწყობილობათა დაცვაზე, რაც გაპიროვნებულია აღსაზრდელთა გარკვეულ ჯგუფზე.

სკოლა-ინტერნატის აღმზრდელები თავისი უფლებრივი მდგომარეობით გათანაბრებული არიან მასწავლებლებთან.

35 დირექტორის თანაშემწე საძეურნეო ნაწილში პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის სამეურნეო მდგომარეობაზე მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაზე, სკოლის ქონებისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე, შენობათა და ნაგებობათა ნორმალურ ექსპლოატაციაზე, ამ ნაგებობათა სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ტრანსპორტის სწორად გამოყენებაზე.

36. სკოლა-ინტერნატის ექიმს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. ექიმი პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურეობაზე, ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ახორციელებს სისტემატურ კონტროლს დღის რეჟიმის შესრულებაზე, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობაზე, მოსწავლეთა ნორმალურ დატვირთვაზე, კვების ხარისხზე და სკოლა-ინტერნატის სანიტარულ მდგომარეობაზე. ექიმი და სამედიცინო პერსონალი ატარებენ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სანიტარულ მომზადებას.

37. კაბინეტების გამგეებად სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ ინიშნებიან ყველაზე უფრო გამოცდილი, შესაბამისი სპეციალობის მქონე მასწავლებლები, კაბინეტის გამგეები პასუხს აგებენ კაბინეტის ინვენტარ-მოწყობილობის მოვლა-პატრონობასა და კაბინეტის მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე

38 სკოლა-ინტერნატის პედაგოგიურ პერსონალს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დირექტორისა და სამხატვრო-მეთოდური საბჭოს წარდგინებით; მუშაკთა დანარჩენ კატეგორიებს ნიშნავს სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

39. სკოლა-ინტერნატთან იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლა-ინტერნატის დირექტორი (თავმჯდომარე), სამხატვრო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე და დირექტორის მოადგილეები, მასწავლებლები, დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში, ბიბლიოთეკარი, ლაბორატორიის გამგე, ექიმი და მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით პედაგოგიური საბჭოს შესახებ.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

40. სკოლა-ინტერნატის ყოველ კლასზე წესდება კონცერტმეისტერის თითო საშტატო ერთეული.

41. დაწესებული ტიპიური საშტატო ერთეულების გარდა სკოლა-ინტერნატისათვის სპეციფიკის შესაბამისად დამატებით წესდება შემდეგი საშტატო ერთეულები: დირიჟორის, ხამ კონცერტმეისტერის, ფორტეპიანოს ამწყობი-ხელოსნის, ხმიანი საკრავების ოსტატ-ხელოსნის; ხალხური საკრავების ოსტატის, საკრავების საწყობის გამგის, ფოტოლაბორატორიის გამგის, კინომექანიკოსის, ორი აღმზრდელის, მასობრივი მუშაკის, მებაღე—დეკორატორის, დურგლის, დალაქის, სანტექნიკოსის, ლაბორანტისა და წყლის სატუმბის ოსტატის საშტატო ერთეულები.

42. სკოლა-ინტერნატი იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე და დაფინანსება წარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატს შეუძლია ჰქონდეს სპეციალური სახსრები, რომლებსაც ხარჯავს სკოლა-ინტერნატის დირექტორი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული და საფინანსო ორგანოების მიერ რეგისტრირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

43. სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. მას აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბის გამოსახულებით და შტამპები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

ვ. ბინჩალაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი

ჯ. ბუჯირი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების ბრძანება № 186/193 31 მარტი, 1969 წელი

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის მზრუნველობისა და შვილად აყვანის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ნ

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის წესის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის 5 მაისის ინსტრუქცია „მშრომელთა ოჯახებში აღსაზრდელად ბავშვთა გადაცემის შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და იუსტიციის სამინისტროების 1952 წლის 24 ოქტომბრის № 3102 ბრძანება „უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის წესის შესახებ“.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების კოლეგიების 1969 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ლ. საყვარელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების
1969 წლის 31 მარტის № 186/193
ბრძანებით

ინსტრუქცია

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის წესის შესახებ

I. პატრონატი

1. ბავშვთა აღზრდის, ფიზიკური განვითარების, სწავლებისა და საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობისათვის მომზადების მიზნით, შემოღებული იქნეს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მშრომელთა ოჯახებში აღსაზრდელად გადაცემა (პატრონატი).

2. მშრომელთა ოჯახებში ბავშვების აღსაზრდელად გადაცემა ხორციელდება ნებაყოფლობითი სახელშეკრულებო საწყისებზე.

ბავშვების აღსაზრდელად მიღება შეუძლია ყოველ მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ამ ინსტრუქციის მე 40 პუნქტში.

3. მშრომელთა ოჯახებში აღსაზრდელად მიიღებიან ბავშვები ხუთი თვიდან თხუთმეტ წლამდე. გამონაკლის შემთხვევაში ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია თექვსმეტ წლამდე (ავადმყოფობა, ბეჯითი სწავლა და სხვ.).

გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევაში პატრონატის წესით შეიძლება გადაცემულ იქნეს ბავშვი, რომელსაც ხუთი თვის ასაკისათვის არ მიუღწევია, იმ პირობით, თუ ის მიმღებ ოჯახში ან შემგროვებელი პუნქტის საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება ქალის რძით.

3 წლამდე ბავშვების პატრონატზე გადაცემას და ამ საქმის ხელმძღვანელობას ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის (საქალაქო) სარაიონო განყოფილება.

3 წელზე მეტი ხნის ბავშვების პატრონატზე გადაცემასა, პატრონირების საქმის ხელმძღვანელობას ახორციელებს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილება.

3 წლის ასაკის შესრულების შემდეგ, პატრონატზე მყოფი ბავშვი, თუ ის ამ დროისათვის შვილად აყვანილი არ არის, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მიერ, შემდეგი უზრუნველყოფისათვის გადაეცემა სახალხო განათლების განყოფილებას, რომელიც ახალ ხელშეკრულებას დებს იმავე აღმზრდელთან.

15 წლის ასაკის შესრულების შემდეგ მოზრდილები სახალხო განათლების განყოფილების შეხედულებისამებრ საბავშვო სახლების აღსაზრდელებთან თანაბრად იგზავნებიან პროფტექნიკურ სკოლებში ან წარმოებაში სამუშაოდ. ამის შემდეგ ხელშეკრულება ბავშვის პატრონირების შესახებ ძალას კარგავს.

4. მშრომელთა ოჯახებში აღსაზრდელად შეიძლება გადაცემულ იქნეს საბავშვო დაწესებულებების გარეშე დარჩენილი ბავშვები, რომლებსაც მშობლები არ ჰყავთ ან მათთან კავშირი აქვთ გაწყვეტილი.

დაუშვებელია პატრონატის წესით იმ ბავშვების აღსაზრდელად გადაცემა, რომლებიც დაავადებული არიან მწვავე ან ქრონიკული გადამდები სნეულებით.

5. ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მშრომელთა ოჯახებში აღზრდისათვის ბავშვების გადაცემას ახორციელებენ საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ადგილობრივი ორგანოები (განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები), ხოლო სოფლად— მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, კოლმეურნეთა საზოგადოებრივ ურთიერთდამხმარე სალაროების მეშვეობით.

საბავშვო სახლებსა და ჩვილ ბავშვთა სახლებში მოთავსებული ბავშვების პატრონატის წესით გადაცემისათვის ყველა შემთხვევაში აუცილებელია საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ადგილობრივი ორგანოების თანხმობა.

6. მშრომელთა ოჯახებში ბავშვების აღსაზრდელად გადაცემა გაფორმებულ უნდა იქნეს ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერენ რაიონის (ქალაქის) განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე და ბავშვის მიმღები პირი, ხოლო სოფლად

ხელშეკრულებას ხელს აწერენ კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროს გამგეობის თავმჯდომარე და ბავშვის ამყვანი პირი. ხელშეკრულება რეგისტრირებულ უნდა იქნას სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და მისი პირი უნდა გაეგზავნოს განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას.

ხელშეკრულების დადებამდე დაწვრილებით უნდა იქნეს გამოკვლეული ბავშვის მიმღები პირის საბინაო, საყოფაცხოვრებო, ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობა და გამოკვლევის შედეგების შესახებ დაიწეროს სათანადო დასკვნა.

7. ბავშვის მიმღები პირი ვალდებულია აღზარდოს ბავშვი კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნოს მისი ფიზიკური განვითარებისა და სწავლისათვის, მოამზადოს იგი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები.

8. პატრონატზე გადაცემის დროს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) ორგანოები პატრონატზე ამყვან ოჯახს აძლევენ ბავშვის შესანახად ყოველთვიურ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტით საამისოდ გათვალისწინებული თანხებიდან, კანონით დადგენილი რაოდენობით, რაც უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.

თუ პატრონატზე აყვანილს ენიშნება პენსია, ეძლევა ალიმენტი ან როგორც სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრს ეძლევა დახმარება, ეს თანხა ამყვანს მიეცემა ყოველთვიური დახმარების ანგარიშში, რაც უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.

თუ პენსია, ალიმენტი ან დახმარება აღემატება ყოველთვიური დახმარებისათვის განსაზღვრული თანხის რაოდენობას, ყოველთვიური დახმარება აღარ გაიცემა, პენსია, ალიმენტი ან დახმარება კი მთლიანად მიეცემა პატრონატზე ამყვანს.

სასოფლო ადგილებში კოლმეურნეთა ურთიერთ დამხმარე სალაროების მიერ, როგორც ფულადი, ისე ნატურით გასაცემი ყოველთვიური დახმარების ოდენობა და სახეობა განისაზღვრება საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მითითებათა შესაბამისად.

9. სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს ევალებათ:

ა) მოსახლეობას შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ტარება ბავშვთა პატრონირების მნიშვნელობისა და აგრეთვე იმ ოჯახის უფლება მოვალეობის შესახებ, რომელიც ბავშვებს პატრონატზე აიყვანს;

ბ) პატრონატზე ამყვანი ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა;

გ) ყოველთვიური დახმარების გაცემა, აგრეთვე პატრონატზე ამყვანი ოჯახის ერთი რაიონიდან (ქალაქიდან) მეორე რაიონში (ქალაქში) გადასვლის შემთხვევაში ხარჯთაღრიცხვით მიმღინარე წლის ბოლომდე გათვალისწინებული და ხელშეკრულებაში ნაჩვენები თანხების გადაგზავნა იმ რაიონულ (საქალაქო) სახალხო განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში, სადაც საცხოვრებლად გადავიდა ოჯახი;

დ) ხელშეკრულების დადება ბავშვის ამყვან პირთან;

ე) ბავშვის ამყვანი ოჯახისათვის დახმარების გაწევა ბავშვის აღზრდისა და სწავლის საქმეში;

ვ) სისტემატური მეთვალყურეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე, პატრონატზე აყვანილ ბავშვის მიმართ;

ზ) პატრონატზე გადაცემული ბავშვის საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა;

თ) მოზრდილთა შრომითი მოწყობა განსაზღვრული ასაკის შესრულებისა და პატრონატზე ამყვანი ოჯახიდან გასვლის შემდეგ.

სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რაიონული (საქალაქო) განყოფილებები მეთვალყურეობასა და კონტროლს უწევენ, როგორც მათ მიერ პატრონატზე გადაცემული ბავშვების საცხოვრებელ პირობებს, აგრეთვე იმ ბავშვებისა, რომელთა პატრონირებას ახორციელებენ სასოფლო საბჭოები ურთიერთ დამხმარე სალაროების მეშვეობით.

სასოფლო საბჭოები ხუთი დღის ვადაში, დღიდან პატრონირების შესახებ ხელშეკრულების დადებისა, გზავნიან ცნობას ბავშვის პატრონატზე გადაცემის შესახებ, ამყვანი ოჯახის მისამართის ჩვენებით და ბავშვის პირადი ბარათის დართვით: 3—15 წლის ასაკის ბავშვზე — სახალხო განათლების, ხოლო სამ წლამდე ჩვილ ბავშვების შესახებ—ჯანმრთელობის დაცვის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში.

10. პატრონატზე გადაცემულ ყველა ბავშვზე უნდა შედგეს პირადი საქმე, რომელშიც ინახება:

ა) პატრონატზე ამყვანის განცხადება;

ბ) აქტი ამყვანი ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების წინასწარ გამორკვევისა და ოჯახის წევრთა და პატრონატზე გადასაცემი ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ;

გ) დაბადების მოწმობის ან ბავშვის ასაკის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი;

დ) ბავშვის პირადი ბარათი;

ე) ხელშეკრულება პატრონირების შესახებ, რომელზედაც აღინიშნება ყოველთვიური დახმარების გაცემა;

ვ) მონაცემები პატრონატზე მყოფი ბავშვის საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმების აქტებიდან.

11. ბავშვის პატრონატზე გადაცემის დროს სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები იღებენ ზომებს ბავშვის ქონების დაცვისა და მის სასარგებლოდ მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით აღნიშნულ პირთა მიმართ ქონებაზე შეიძლება დაინიშნოს მეურვე ამ ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, ბავშვის პირად საქმეში ამის შესახებ შეიტანება შესაფერისი ცნობა.

12. იმ შემთხვევაში თუ პატრონატზე ამყვანი ოჯახის რომელიმე წევრი სურვილს გამოთქვამს პატრონირებული ბავშვის შვილად აყვანის შესახებ და ამისათვის არ არსებობს კანონით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებანი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოები (საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 82 მუხლით) ნებართვას აძლევენ პარტრონირებული ბავშვის შვილად აყვანაზე. შვილად აყვანის გაფორმების მომენტიდან ხელშეკრულება პატრონირების შესახებ ძალას კარგავს.

13. ბავშვის პატრონირების შესახებ დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმება ხდება იმ შემთხვევაში თუ:

ა) ამყვანი პირი ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს;

ბ) ამყვანი პირის საოჯახო საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება უარყოფით გავლენას ახდენს აღსაზრდელი ბავშვის მდგომარეობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოვლინებული ან უგზო-უკვალოდ დაკარგული მშობელი ან ახლო ნათესავი დაბრუნების შემდეგ მოითხოვს ბავშვს.

ბავშვის პატრონირების შესახებ დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმების საკითხს გადაწყვეტს სასამართლო საერთო სასარჩელო წესით.

14. პატრონატის წესით ბავშვის ამყვანი პირის მიმართ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები კანონით დადგენილი წესით.

პატრონატის ანგარებითი მიზნით გამოყენების, აგრეთვე პატრონატის წესით გადაცემული ბავშვის ზედამხედველობისა და აუცილებელი მატერიალური დახმარების გარეშე დატოვების შემთხვევაში დამნაშავე პირი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით.

II. შვილად აყვანა

15. შვილად შეიძლება აყვანილ იქნეს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვი და ისიც მხოლოდ ბავშვის ინტერესებისათვის.

16. შვილად აყვანა ხდება შვილად ამყვანის თხოვნით მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შვილად აყვანის რეგისტრაცია ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

17. შვილად ამყვანი შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ამ ინსტრუქციის მე-40-ე პუნქტში.

18. იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია ამ უკანასკნელთა თანხმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი ბავშვის შვილად აყვანისათვის აუცილებელია, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა, ისე მშობლების თანხმობაც.

იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელსაც მშობლები არ ჰყავს და მოთავსებულია საბავშვო სახლში, სკოლა-ინტერნატში ან ჩვილ ბავშვთა სახლში, საჭიროა განათლების სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანხმობა შესაბამ სად.

დაუშვებელია ის ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, მისი თანხმობის გარეშე.

თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი შვილად ამყვანის ოჯახში ცხოვრობდა და მას თავის მშობლად თვლის, შვილად აყვანა როგორც გამონაკლისი შეიძლება მოხდეს შვილად ასაყვანის თანხმობის მიუღებლად.

19. შვილად აყვანისათვის მშობლების თანხმობა არ არის საჭირო, თუ მათ ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება ან დადგენილი წესით აღიარებული არიან არაქმედუნარიანად ან უკვალოდ დაკარგულად.

შვილად აყვანა მშობლების თანხმობის მიუღებლად შეიძლება აგრეთვე, თუ ისინი, მიუხედავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების გაფრთხილებისა, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ იღებდნენ მონაწილეობას ბავშვის აღზრდასა და შენახვაში.

20. დასაშვებია ერთი პირის მიერ რამოდენიმე ბავშვის შვილად აყვანა.

დაქორწინებული პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანისათვის თუ ბავშვს ორივე მეუღლე არ იყვანს შვილად, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.

მეუღლის თანხმობა ბავშვის შვილად აყვანისათვის არ არის საჭირო, თუ იგი დადგენილი წესით აღიარებულია არაქმედუნარიანად ან უკვალოდ დაკარგულად, აგრეთვე თუ მეუღლეები ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ცხოვრობენ ერთად და არ ეწევიან ერთ საოჯახო მეურნეობას.

21. განცხადება ბავშვის შვილად აყვანის შესახებ შეიტანება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებში შვილად ასაყვანი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) შვილად ასაყვანი ბავშვის მშობლების, მეურვის, მზრუნველის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, განათლების სამი-

ნისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წერილობითი თანხმობა შესაბამისად;

ბ) იმ ბავშვის წერილობითი თანხმობა, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა;

გ) მეუღლის წერილობითი თანხმობა;

დ) სამსახურებრივი დახასიათება;

ე) ცნობები საბინაო და ოჯახური მდგომარეობის შესახებ;

ვ) ცნობები ხელფასისა და სხვა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

ზ) ცნობები წლოვანებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილება შეამოწმებს წარმოდგენილი განცხადებისა და საბუთების ნამდვილობას და თავის დასკვნას შვილად აყვანის საკითხის გადასაწყვეტად წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტს.

შვილად აყვანაზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული პირის მიერ შესაბამის ზემდგომ ორგანოში (მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტი, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო), რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

22. თუ ბავშვი ვინმეს მიერ მიღებული იყო აღსაზრდელად და ფაქტიურად ეს პირი მას ზრდიდა, როგორც ღვიძლ შვილს, მაგრამ აღმზრდელის ან აღსაზრდელის გარდაცვალების ან აღსაზრდელის სრულწლოვანებამდე მიღწევის გამო შვილად აყვანა გაფორმებული არ იყო, მაშინ შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება დადგენილ იქნეს სასამართლოს მიერ, თუ სასამართლო ცნობს, რომ შვილად აყვანა თავის დროზე გაფორმებული არ იყო საპატიო მიზეზის გამო.

ასეთი საქმეების გადაწყვეტის დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

23. შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა შვილად ამყვანისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო შვილად ამყვანი და

მისი ნათესავები შვილად აყვანილისა და მისი შთამომავლობის მიმართ უთანაბრდებიან პირადი და ქონებრივი უფლებებით და მოვალეობებით შთამომავლობითს ნათესავებს.

24. არასრულწლოვანი პირი, რომელსაც შვილად აყვანის დროისათვის აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პენსია ან დახმარება, რასაც იგი მარჩენალის დაკარგვის გამო იღებს, ამ უფლებას ინარჩუნებს მისი შვილად აყვანის შემთხვევაშიც.

25. შვილად აყვანის გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მიერ იმ პირის სასარჩელო მოთხოვნით, რომლის უფლება დარღვეულია შვილად აყვანით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან პროკურორის მოთხოვნით.

სასამართლოში შვილად აყვანის საქმის განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

შვილად აყვანის გაუქმება ისეთ შემთხვევაში, როცა შვილად აყვანილს შეუსრულდა ათი წელი, შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

შვილად აყვანის გაუქმება არ შეიძლება, თუ შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საქმის განხილვის მომენტისათვის შვილად აყვანილს შეუსრულდა 18 წელი.

26. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ახორციელებენ მეთვალყურეობას შვილად აყვანილის აღზრდისა და შენახვის მსვლელობაზე.

შვილად ამყვანის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია შვილად აყვანილის პირადი საქმე გადაუგზავნოს შესაბამის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შვილად ამყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შვილად აყვანილზე მეთვალყურეობის დასაწესებლად.

27. ყოველ შვილად აყვანილზე დგება ცალკე საქმე, რომელშიაც მოთავსდება შვილად აყვანასთან დაკავშირებით შეკრებილი ყველა საბუთი, დასკვნები, გადაწყვეტილებები და სხვ.

შვილად აყვანილის 18 წლის შესრულების შემდეგ საქმე ჩაბარდება არქივს.

28. კანონით დაცულია შვილად აყვანის საიდუმლოება.

ის პირი, რომელიც გაამჟღავნებს შვილად აყვანის საიდუმ-
ლოებას შვილად ამყვანის ნების წინააღმდეგ, პასუხს აგებს კანონ-
ნით დადგენილი წესით.

III. მეურვეობა და მზრუნველობა

29. მეურვეობა და მზრუნველობა დაწესდება არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისათვის, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, აგრეთვე ამ ბავშვების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

მეურვეობა და მზრუნველობა დაწესდება იმ სრულწლოვან მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

30. მეურვეობა დაწესდება ბავშვებზე, რომლებსაც არ მიუღწევიათ 15 წლის ასაკამდე, და პირებზე, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებული არიან არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი).

31. მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანებზე, 15 წლის ასაკიდან 18 წლამდე; მზრუნველობა წესდება აგრეთვე არასრულწლოვან ქმედუნარიან პირებზე, თუ მათ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები და შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი.

32. მეურვეობა გარდაცვალებულთა და უკვალოდ დაკარგულთა ქონებაზე დაწესდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-18—მე-20-ე მუხლების შესაბამისად.

33. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომები.

მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციების განხორციელება არასრულწლოვანთა მიმართ ეკისრება განათლების განყოფილებას, სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად აღიარებული პირების მიმართ ჯანმრთელობის განყოფილებას, ხოლო იმ ქმედობუნა-

რიანი პირების მიმართ, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მზრუნველობას,— სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

34. მეურვეობა და მზრუნველობა დაწესდება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც საჭიროებს მეურვეობას ან მზრუნველობას ან იმ ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელზედაც მეურვეობა უნდა დაწესდეს,

35. დაწესებულებები და პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა, რომ მშობლების გარდაცვალების, ავადმყოფობის, მშობლის უფლების ჩამორთმევის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არასრულწლოვანები საჭიროებენ მეურვეობას ან მზრუნველობას, ვალდებული არიან აცნობონ ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ მოახდინონ ფაქტის გამოკვლევა და მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე იზრუნონ არასრულწლოვანთათვის.

36. იმ არასრულწლოვანების მიმართ, რომელთა მშობლები ცოცხალი არიან და ჩამორთმეული არა აქვთ მშობლის უფლება, მეურვეობა ან მზრუნველობა დაწესდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მიიჩნევენ, რომ ბავშვის აღსაზრდელად დატოვება მშობლებთან არ შეესაბამება მის ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში, თუ მშობლებს სურთ თვითონ აღზარდონ ბავშვი, უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება.

მშობლების მიერ საპატიო მიზეზის გარეშე ბავშვის აღზრდაზე უარის თქმის შემთხვევაში ბავშვს დაენიშნება მეურვე ან მზრუნველი და იმავე დროს სასამართლოში აღიძვრება საქმე ასეთი მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

37. სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის მიმართ, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და განახორციელოს თავისი მოვალეობანი, მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ მისი თხოვნით.

38. მეურვის ან მზრუნველის მოვალეობების უშუალო შესრულებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს.

მეურვედ ან მზრუნველად პირი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის ცნობილი გახდა მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა.

მეურვის ან მზრუნველის არჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი პირადი თვისებები, დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი, ურთიერთობა, რომელიც არსებობს მათსა და იმ პირს შორის, რომელიც მეურვეს ან მზრუნველს საჭიროებს, და აგრეთვე როცა ეს შესაძლებელია, სამეურვეო პირის სურვილიც.

39. მეურვეობისა და მზრუნველობის გაფორმებისათვის აუცილებელია შემდეგი საბუთები:

ა) მეურვედ ან მზრუნველად დასანიშნავი პირის წერილობითი განცხადება;

ბ) მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახლმმართველობის ცნობა მეურვედ ან მზრუნველად დასანიშნავი პირის საბინაო, საყოფაცხოვრებო და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ცნობა მათი წლოვანების შესახებ;

გ) მეურვედ (მზრუნველად) დასანიშნავი პირის სამსახურებრივი დახასიათება;

დ) ცნობა ბავშვის მშობლების გარდაცვალების შესახებ, აგრეთვე სხვა საბუთები, რომელთა მიხედვით აუცილებელია მეურვეობა ან მზრუნველობა;

ე) ცნობები ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ვ) განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დასკვნა მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობის შესახებ.

მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის შემთხვევაში განათლების ან ჯანმრთელობის განყოფილება გასცემს მეურვეობის (მზრუნველობის) მოწმობას დადგენილი ფორმით.

40. მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს:

ა) პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკამდე;

ბ) პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად;

გ) პირი, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლებები;

დ) შვილად ამყვანი, თუ შვილად აყვანა გაუქმდა შვილად ამყვანის მიერ თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო;

ე) პირი, რომელიც მეურვის ან მზრუნველის ვალდებულების არასათანადოდ შესრულებისათვის, განთავისუფლებულია დაკისრებული მოვალეობისაგან;

ვ) პირი, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება მეურვეობაში ან მზრუნველობაში მისაცემი პირის ინტერესებს;

ზ) პირი, რომელსაც ავადმყოფობის ან სხვა პატივსადები მიზეზების გამო არ შეუძლია შეასრულოს მეურვის ან მზრუნველის მოვალეობანი;

თ) ჩვეული ალკოგოლიკი და ნარკომანი.

41. მეურვის ან მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

42. იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებებში იზრდებიან, აგრეთვე სათანადო სამკურნალო ან სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებაში მოთავსებული პირების მიმართ, რომლებიც მეურვეობასა ან მზრუნველობას საჭიროებენ, მეურვის ან მზრუნველის მოვალეობის შესრულება ეკისრებათ ამ დაწესებულებებს.

43. მეურვე ან მზრუნველი მოვალეა აღზარდოს არასრულწლოვანი კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნოს მისი ფიზიკური განვითარებისა და სწავლისათვის, მოამზადოს იგი საზოგადოებრივი სასარგებლო საქმიანობისათვის, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები.

გარდა ამისა, სულით ავადმყოფის მეურვე მოვალეა თვალყური ადევნოს მის მეურვეობაში მყოფი პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურვესა და მზრუნველს უფლება აქვთ სასამართლო წესით გამოითხოვონ მათ მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირი ყველასაგან, ვინც მას უკანონოდ თავისთან ამყოფებს.

მეურვე და მზრუნველი მოვალეობებს ასრულებენ უსასყიდლოდ.

44. მეურვეობაში მყოფი სულით ავადმყოფის გაჯანმრთელების შემთხვევაში მისი მეურვე მოვალეა დაუყოვნებლივ აღძრას სასამართლოში შუამდგომლობა მეურვეობაში მყოფი პირის ქმედუნარიანად აღიარებისა და მასზე მეურვეობის მოხსნის შესახებ.

45. მეურვე მეურვეობაში მყოფი პირის კანონიერი წარმომადგენელია და მისი სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე სდებს ყველა აუცილებელ გარიგებას.

მზრუნველი მზრუნველობაში მყოფ პირს დახმარებას უწევს უფლებების განხორციელებასა და მოვალეობათა შესრულებაში.

არასრულწლოვანები თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე ისეთ გარიგებას, რომლის დამოუკიდებლად დადების უფლება მათ კანონით არა აქვთ, დებენ მზრუნველის თანხმობით.

46. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვის გარეშე მეურვეს უფლება არ აქვს დადოს, ხოლო მზრუნველს—თანხმობა მისცეს ისეთ გარიგებაზე, რომელიც სცილდება საყოფაცხოვრებო საკითხების ფარგლებს.

კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვაა საჭირო ისეთი ხელშეკრულების დადების დროს, რომელიც სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებაზე უარის თქმის, ქონების გაყოფის, საცხოვრებელი ფართობის გაცვლის, შემნახველ სალაროსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირის მიმდინარე ანგარიშიდან თანხის მიღების, ქონების გასხვისების, ქონების დაგირავებისა და გაქირავების შემთხვევებში.

მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირის სახელით ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.

47. თანხები, რომლებიც უნდა მიიღოს არასრულწლოვანმა ან არაქმედუნარიანად ცნობილმა სრულწლოვანმა პენსიის, დახმარების, ალიმენტის და მისი კუთვნილი ქონებიდან შემოსავლის სახით, გადადის მეურვის ან მზრუნველის განკარგულებაში და მათ მიერ გამოიყენება მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირების შესანახად.

მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან სხვა ფულადი ან ფასეულობანი, რომლებიც ეკუთვნის მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფ პირს, შეინახონ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში და უფლება არა აქვთ განკარგონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის შეუტყობინებლად.

არასრულწლოვანს 15-დან 18 წლის ასაკამდე უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, განაკარგოს თავისი ხელფასი ან სტიპენდია, განახორციელოს ავტორისა და გამომგონებლის უფლებები.

თუ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ პირს არ აქვს არსებობის საკმაო საცხოვრები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აღძრავს შუამდგომლობას სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს წინაშე დახმარების მიცემის შესახებ.

48. მეურვისა და მზრუნველის მოქმედება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ყველა პირის მიერ, მათ შორის მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირის მიერაც. საჩივარი შეიტანება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეურვეობასა ან მზრუნველობაში მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

49. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მეურვესა და მზრუნველს თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან ათავისუფლებენ ბავშვის მშობლებისათვის აღსაზრდელთა დაბრუნების, შვილად აყვანის და მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევებში.

მეურვე და მზრუნველი შეიძლება განთავისუფლდნენ თავისი მოვალეობისაგან აგრეთვე პირადი თხოვნის საფუძველზე, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ცნობს, რომ ეს თხოვნა საპატიო მიზეზით არის გამოწვეული (მეურვის ავადმყოფობა, მისი მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფ პირთან აუცილებელი კონტაქტის უქონლობა და სხვ.).

50. მეურვის ან მზრუნველის მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გადააყენებს მეურვესა და მზრუნველს მოვალეობის შესრულებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურვეობისა და მზრუნველობის ანგარებითი მიზნით გამოყენებისას, აგრეთვე მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირის ზედამხედველობისა და აუცილებელი დახმარების გარეშე დატოვების შემთხვევაში მეურვე და მზრუნველი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით.

51. სრულწლოვანი პირის მზრუნველი შეიძლება განთავისუფლებული იქნეს თავისი მოვალეობის აღსრულებისაგან მზრუნველობაში მყოფი პირის მოთხოვნით.

ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მზრუნველობაში მყოფ პირთან შეთანხმებით მას მზრუნველად სხვა პირი დაუნიშნოს.

52. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის, გადაყენებისა და განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის სხვა საკითხები დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს შესაბამისად—ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

53. მეურვე და მზრუნველი ვალდებულია ყოველწლიურად, არა უგვიანეს თებერვლის პირველისა, წარუდგინოს მეურვეობის და მზრუნველობის სათანადო ორგანოს წერილობითი ანგარიში.

სამეურვეო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, მეურვე ვალდებულია წარადგინოს ანგარიში სხვა ვადებშიაც.

მეურვის თუ მზრუნველის ანგარიში უნდა შეიცავდეს ცნობებს მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემული პირის ქონების გამგებლობისა, მისი შემოსავლისა და გაწეული ხარჯის შესახებ და აგრეთვე ცნობებს იმის შესახებ თუ როგორი იყო ზრუნვა მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემული პიროვნების მიმართ, მისი ჯანმრთელობისა, აღზრდისა, სწავლებისა და მისი საზოგადოებრივი სასარგებლო შრომისათვის მომზადება და სხვ.

მეურვე ან მზრუნველი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოებს, ბავშვის პირადი საქმის ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაგზავნის მიზნით.

54. მეურვეობა შეწყდება:

მეურვეობაში მყოფი პირის გარდაცვალების შემთხვევაში;

არასრულწლოვანების მიმართ—თუ მათ მიაღწიეს 15 წლის ასაკს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი კანონით დადგენილი წესით არაქმედუნარიანად არიან აღიარებულნი;

იმ არასრულწლოვანების მიმართ, რომელთაც არ შესრულებიათ 15 წელი,—მშობლებთან აღსაზრდელად დაბრუნების შემთხვევაში;

სულით ავადმყოფებისა და ჭკუასუსტების მიმართ—როდესაც ისინი სასამართლოს მიერ აღდგენილი არიან ქმედობაუნარიანობაში;

ქონების მიმართ—უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გამოცხადებისას ან ქონების მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში.

ამ შემთხვევებში მეურვეობა შეწყდება მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

55. მზრუნველობა შეწყდება:

მზრუნველობაში მყოფი პირის გარდაცვალების შემთხვევაში;

არასრულწლოვანების მიმართ—სრულწლოვანების მიღწევისას;

არასრულწლოვანის მიმართ, რომელიც დაქორწინდა;

სხვა პირების მიმართ—თუ მოისპო ის მიზეზი, რომლითაც გამოწვეული იყო მზრუნველის დანიშვნა. ამ შემთხვევაში მზრუნველობა შეწყდება მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს დადგენილებით.

56. მეურვისა და მზრუნველის შესახებ დგება ცალკე საქმე, რომელშიც ინახება ყველა საბუთი მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების შესახებ, მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიღებული ქონების აღწერის სია, მეურვის ან მზრუნველის ხელმოწერით განათლების გაწყოფილების მიერ წარმოებული გაძორკვევანი და განკარგულებანი, მეურვის ან მზრუნველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და სხვა საქმე წარმოებაშია მეურვეობის ან მზრუნველობის მოსპობამდე. მეურვეობის ან მზრუნველობის მოსპობის შემდეგ საქმეში აღინიშნება მოსპობის თარიღი და საქმე გადაეცემა არქივს.

57. პატრონატის წესით ბავშვის ამყვან პირს, შვილუმყვანელი ამყვანს, მეურვეს და მზრუნველს დაწვრილებით უნდა გაეცნოს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბ. სახლების სამმართველოს უფროსი

ვ. ჩინჩალაძე

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი

ლ. ირემაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოწმობა

მიეცა ესე მოქ _____

_____ მცხ. _____

დასტურად იმისა, რომ ის საქართველოს სსრ საქორწინო საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 78, 79, და 80 მუხლების თანახმად _____ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 196 წ. _____ № _____ გადაწყვეტილებით დანიშნულია მეურვედ, მზრუნველად მცირეწლოვან ბავშვზე _____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

და ქონებაზე.

მეურვეს ეკალება იზრუნოს მეურვეობაში მყოფისათვის, განაგოს მისი ქონება, იყოს მისი წარმომადგენელი ყველა საქმეში და საერთოდ იმოქმედოს მეურვეობაში მყოფის სახელით საქართველოს საქორწინო საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 93—99 მუხლების წესებამისად.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის
განათლების (ჯანდაცვის) განყოფილების გამგე

ინსპექტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილება

№

196 წ. „____“ _____ მშრომელთა დეპუ-
ტატების საბჭოს აღმასკომისა განიხილა რა განცხადება
მოქ. _____
მოქ. _____
მოქ. _____
არასრულწლოვანი ბავშვის _____
შვილად აყვანის ნებართვის მიცემის შესახებ და მიიღო რა მხედვ-
ელობაში, რომ მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი საბუთები სავსებით
აკმაყოფილებს საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამე-
ურვეო კანონთა კოდექსის მოთხოვნას შვილად აყვანის შესახებ,
დადგინდა: ნება დაერთოს
მოქ. _____
მოქ. _____
შვილად აიყვანონ არასრულწლოვანი ბავშვი _____
(სახელი, მამის სახელი, გვარი)
დაბადებული _____
(წელი, თვე, რიცხვი)
რომლის მშობლები იყვნენ:
დედა _____
მამა _____
არასრულწლოვან ბავშვს მიენიჭოს სახელი- _____
მამის სახელი _____

დადგენილების ასლი გადაეგზავნოს რაიონის მმაჩის ბიუროს,
იმ საბავშვო დაწესებულებას, საიდანაც ხდება ბავშვის აყვანა და
მოქ. _____ (შვილად ამყვანს) _____
მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის

თავმჯდომარე
მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ს კ ვ ნ ა

ბავშვის გადაცემა პატრონატზე ამ ოჯახში მიზანშეწონილია თუ არა _____

_____

თანდართული საბუთების დასახელება _____

_____

ა ქ ტ ი

პატრონატზე ამყვანი ოჯახის შემოწმება

გამომრკვევის ხელის მოწერა:

„_____“_____196 წ.

1. გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირისა, რომელსაც აჰყავს ბავშვი პატრონატზე _____

2. მისამართი (დაწვრილებით) _____

_____

3. მანძილი პატრონატზე ამყვან ოჯახიდან რაიონის ცენტრამდე „_____“ კმ_____, მახლობელ სამკურნალო დაწესებულებამდე, რომელიც ბავშვს გაუწევს საექიმო ზედამხედველობას „_____“ კმ.

4- შემადგენლობა ოჯახისა, რომელმაც უნდა მიიღოს

ოჯახის წევრების ჩამოთვლა, რომლებიც ცხოვრობენ ერთად	ასაკი	საქმიანობა	ყოველთვიური ხელფასი	ჯანმრთელობის მდგომარეობა (სამკურნალო დაწესებულებების მიერ გაცემული ცნობების ჩამოთვლა, თარიღის ნომრისა და შინაარსის ჩვენებით)

5. ბინა, საყოფაცხოვრებო პირობები

6. ვის უნდა დაეკისროს ამ ბავშვის აღზრდაზე მეთვალყურეობა _____

_____

გამორკვევა ჩაატარა: „_____“ _____196 წ.

გამომრკვევი _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

თანამდებობა _____

_____

წარმოდგენილი სახლმმართველობის, კოლმეურნეობის, საბჭოს

_____ ან სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულება

ხელშეკრულება დაიდო
„_____“_____ 196 წ.

ბავშვის სისტემატური მეთვალყუ-
რეობა დაეკისრა _____.

(რომელ დაწესებულებას, მისამართი)

ხელის მოწერა:

196 წ._____

5. _____ განათლების განყოფილება ვალდებულია
გადაუხადოს მოქ. _____
ყოველთვიური დახმარება ბავშვის შენახვისათვის _____
_____ მან. რაოდენობით
ხელშეკრულება ძალაშია _____
_____ განათლების განყოფილების გამგე
ბავშვის ამყვანი პირი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი გარათი

ცნობები პატრონატული ბავშვის შესახებ

1. გვარი, სახელი და მამის სახელი _____

_____

2. დაბადების წელი, თვე, რიცხვი _____ ვაჟი_____ ქალი.
3. ობოლი; ჰყავს მამა, ჰყავს დედა, ჰყავს ორივე მშობელი

_____

4. საიდან არის აყვანილი ბავშვი, რომელი დაწესებულებიდან

_____

5. ჯანმრთელობის მდგომარეობა (პატრონატზე აყვანის დროს) ჯანმრთელია, ავად არის, (რით)_____
6. კანი (სუფთა, არა) _____
7. წონა _____
8. ბავშვის ფიზიკური განვითარება_____
9, მეტყველება _____
10. რა ავადმყოფობა აქვს გადატანილი _____

_____

11. რა და რა ცნობები და დოკუმენტები ჩაბარდა მოქ._____

_____

(დოკუმენტების დასახელება)

12. როდის გადაეცა პატრონატზე_____

_____ თვე _____ წელი_____

შენიშვნა: ჩამოთვლილი ცნობების ასლები ჩაბარდება იმ დაწესებულებას, რომელსაც დაეკისრა მეთვალყურეობა ბავშვის აღზრდაზე.

_____ განათლების განყოფილების

გამგე_____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ქ ტ ი

პატრონატზე მყოფი ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმებისა

შემოწმების თარიღი _____ 196____ შემმოწმებლის გვარი, სახელი, თანამდებობა _____

1. გვარი, სახელი, მამის სახელი პატრონატზე ამყვანისა _____

2. მისამართი _____

3. ბავშვის გვარი, სახელი და მამის სახელი _____

ა ს ა კ ი

4. ბავშვი ჯანმრთელად არის, ავად არის (რით) _____ _____ კანი სუფთა აქვს, არა _____

5. ბავშვის განვითარება: აქტიურობს, მხიარულად არის, მოწყენილია, მეტყელებს, წარმატება სწავლაში _____

6. ბავშვი სუფთაა, ჭუჭყიანია, არასაკმაოდ სუფთაა (წაშალეთ რაც საჭირო არ არის).

7. რა ვადებში იბანება _____

8. აქვს თუ არა ცალკე საწოლი _____

9. აქვს თუ არა საკმარისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქვეშაგები, სათამაშოები, სასწავლო ნივთები, რა აკლია _____

10. როგორ ურთიერთობაში არიან მასთან ოჯახის წევრები.

11. ვინ უვლის ბავშვს.

შემოწმების დასკვნა:

ბავშვის ცხოვრების პირობები: კარგია, დამაკმაყოფილებელია, ცუდია, საჭიროა თუ არა ბავშვის ჩამორთმევა, კონკრეტული წინადადებანი ბავშვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად _____

შენიშვნა: აქტის ასლი გადაეცემა პატრონატზე ამყვან ოჯახს ხელწერილის ქვეშ.

შემმოწმებლის ხელის მოწერა _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟ ურ ნ ა ლ ი

პატრონატზე აყვანილ ბავშვთა აღსარიცხავად

№№	ხელშეკრულების დადების თარიღი	გვარი, სახელი და მამის სახელი ბავშვისა	დაბადების წელი	ვინ ჰყავს მახლობელი ნათესავი: დედა, მამა ორივე	გვარი, სახელი და მამის სახელი პატრონატზე ამყვანი პირისა და მისი მისამართი	ამყვანის ხელის მოწერა	ვის და როდის გადაეცა ბავშვი პატრონატის შეწყვეტის შემდეგ. პატრონატის შეწყვეტის მიზეზის აღნიშვნა

შენიშვნა: მშრომელთა ოჯახში პატრონატზე გადაცემულ ბავშვთა აღრიცხვის ჟურნალს აწარმოებს პირადად სახალხო განათლების განყოფილების გამგე და ინახავს ისე, როგორც ფულადი დოკუმენტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლ ა შ ქ ა რ ა შ ი ლ ი
1969 წლის 20 აპრილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი, პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდური კაბინეტის დებულება

I. საერთო დებულებანი

1. შრომითი, პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდური კაბინეტი ეარმოადგენს განათლების სამინისტროს მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სკოლების სამმართველოს და მისი ხელმძღვანელობით მუშაობს.

2. მეთოდური კაბინეტი პრაქტიკულ მეთოდურ დახმარებას უწევს ყველა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შრომით, პოლიტექნიკურ სწავლებასა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმეში

3. მეთოდური კაბინეტი ეცნობა და სწავლობს მოწინავე მასწავლებლების, სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილებას მისი განზოგადების მიზნით.

II. მუშაობის შინაარსი და ძირითადი ფორმები

4. მეთოდური კაბინეტი ადგილებზე ეცნობა რესპუბლიკის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლების მუშაობას, ეხმარება მათ შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების ძირითადი პრინციპების გატარებაში, სწავლების ახალი მეთოდებისა, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისა და დაპროგრამებული სწავლების დანერგვაში.

5. მონაწილეობს შრომითი და პოლიტექნიკური ციკლის საგნების პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური დოკუმენტების შედგენა-დამუშავებაში.

6. ეხმარება მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ხაზვის, შრომითი და პოლიტექნიკური პრაქტიკუმების მასწავლებლებს პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაში, საგნის სწავლების მეთოდიკის დაუფლებაში; აწყობს მათთვის სემინარებს, პრაქტიკუმებს, ლექციებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს; ეხმარება სკოლის ხელმძღვანელებს მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის საქმეში; სასკოლო სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების იარაღ-მოწყობილობითა და ტექნიკური საშუალებებით შევსებაში.

7. რვაწლიან და საშუალო სკოლებში შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, სკოლის მეთოდური მუშაობის შესწავლის საფუძველზე აწყობს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას; აწარმოებს კარტოტეკას სახალხო განათლების საუკეთესო დაწესებულებებსა და მასწავლებლებზე; ამუშავებს რეკომენდაციებს, მეთოდურ მითითებებს და ამ მასალებს წარუდგენს განათლების სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

8. მეთოდკაბინეტი რესპუბლიკის სკოლების მუშაკთა პედაგოგიური დახელოვნების მიზნით ატარებს თათბირებს, პრაქტიკულ სემინარებს, აწყობს შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების დარგში სკოლებისა და ცალკეული მასწავლებლების მოწინავე გამოცდილების ამსახველი მასალების გამოფენას, დასაბეჭდად ამზადებს სასწავლო მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოსა და მეთოდურ წერილებს.

9. მეთოდკაბინეტთან იქმნება მოძრავი ლაბორატორია სკოლების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების დაზიანებული ხელსაწყო-იარაღების შესაკეთებლად.

70. მეთოდკაბინეტის მუშაკები (მეთოდისტები) ადგილებზე ეცნობიან შრომითი და პოლიტექნიკური ციკლის საგნების სწავლების, სასწავლო კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებით აღჭურვის ტექნიკურ საშუალებათა მოხმარების, სასკოლო სახელოსნოების მოწყობისა და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყენების მდგომარეობას; სკოლის სასწავლო-მეთოდური და პრაქტიკული მუშაობის გაცნობის შედეგებზე მოსმენილი გაკვეთილების ანალი-

ზისა და თავიანთი შენიშვნების შესახებ მეთოდისტები ადგილობრივ ატარებენ საუბრებს მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელებთან: შეჯამებულ მასალებს ჩატარებული მუშაობის შესახებ წარუდგენენ მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელობას.

11. მეთოდკაბინეტი მუშაობს კვარტალური გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

III. მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

12. მეთოდკაბინეტს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც შეირჩევა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მოწინავე პედაგოგებისაგან და ინიშნება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ.

13. კაბინეტს ჰყავს მეთოდისტები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, შრომით სწავლებაში, სოფლის მეურნეობაში, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების დარგში, დაპროგრამებულ სწავლებაში, აგრეთვე—სასწავლო კაბინეტების ხელსაწყოთა შემკეთებელი, ბუღალტერი და ტექნიკური პერსონალი.

მეთოდისტებსა და ბუღალტერს მეთოდკაბანეტის დირექტორის წარმოდგენით ნიშნავს განათლების მინისტრი. ტექნიკური პერსონალი: მდივან-მემანქანე მძღოლი და, დამლაგებელი ინიშნება კაბინეტის დირექტორის მიერ.

14. მეთოდკაბინეტთან სათათბირო ორგანოს უფლებით იქმნება მეთოდური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: კაბინეტის დირექტორი (თავმჯდომარე), მეთოდისტები, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, მოწინავე მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები.

მეთოდური საბჭო განიხილავს: სამუშაო გეგმებს, ანგარიშებს მეთოდურ წერილებსა და მითითებებს ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამუშავებს და განათლების სამინისტროს წინაშე აყენებს წინადადებებს პედაგოგიური პროცესის სრულყოფისა და მოწინავე გამოცდილებათა განზოგადების თაობაზე.

15. მეთოდური კაბინეტის მუშაობაზე პასუხისმგებელია კაბინეტის დირექტორი. მას ევალება: კაბინეტის საქმიანობაზე ხელმძღვანელობა, პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსიური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის შესრულება, კაბინეტის მიერ დამუშავებული ყველა

სასწავლო-მეთოდური მასალის განხილვა და ზომების მიღება მათში მოცემული წინადადებების განსახორციელებლად, წინადადებების წარდგენა თანამშრომელთა მუშაობის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველყოფისა და სათანადო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

16. მეთოდკაბინეტის დირექტორი და მეთოდისტები სარგებლობენ შვებულებებითა და შეღავათებით, რომლებიც გათვალისწინებულია განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა მეთოდური კაბინეტებისათვის.

IV მეთოდკაბინეტის სახსრები, მატერიალური ბაზა, ანგარიშგება

17. შრომითი, პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდური კაბინეტი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიუჯეტზე.

კრედიტების განმკარგულებელი, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, არის მეთოდკაბინეტის დირექტორი.

18. მეთოდკაბინეტს აქვს სათანადოდ მოწყობილი ბინა, სასწავლო კაბინეტების მოწყობილობათა და ტექნიკურ საშუალებათა ნიმუშები, სახელოსნო დაზიანებულ ხელსაწყოთა შესაკეთებლად, ავტობუსი თავისი სადგომით.

19. მეთოდკაბინეტი თავისი მუშაობის შესახებ ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს განათლების სამინისტროს.

20. მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი სათანადო წარწერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 213—საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად პირობების მომზადების შესახებ 3
2. ბრძანება № 220—ხაშურის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 13
3. ბრძანება № 227—ბოლნისის რაიონის ზოგიერთ არაქართულ და არარუსულ-სკოლაში ქართული და რუსული ენების სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ 27
4. დადგენილება—გაზ. „სახალხო განათლების" რედაქციის მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ 1969 წელს 35
5. ბრძანება № 230—ქ. ცხინვალის, ცხინვალისა და ჯავის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 39
6. ბრძანება № 222—რესპუბლიკის სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობის შემოწმების შედეგების შესახებ . 44
7. ბრძანება № 185/40—რესპუბლიკის იმ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სადაც 1969 წლის I სექტემბრიდან შემოღებული იქნება დაწყებითი სამხედრო მომზადება, სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მოწყობის შესახებ 48
8. ბრძანება № 187—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1968—1969 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ 51
9. დადგენილება საკავშირო ალკკ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მოსწავლეთა კოლექტივების მონაწილეობის შედეგებისა და 1969 წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 60
10. Указания о проведении экзаменов в общеобразовательных школах при домах офицеров и офицерских клубах в 1968—1969 учебном году 78
11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქ. თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატის დებულება 81
12. ბრძანება № 186/193—უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ 90
13. ინსტრუქცია უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის წესის შესახებ 91
14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი, პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდური კაბინეტის დებულება 117